№ 3—4 (52) 1931 წ. თებერვალი. წელიწადი მესამე ფასი 15 კაპ.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

რედაქც. მისამართი: რუსთაველის პრ. № 16
შესავალი წულუკიძის ქუჩიდან

მდივანთან მოლაპარაკება: 12—2 საათამდე.
რედაქცია დაწუნებულ მასალას არ აბრუნებს



ვ. ი. ლენინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსოფლიო კომუნისტური პარტიის ბელადი

ი. ვ. სტალინი

# საბჭოთა საქართველოს ათი წელი

საქართველოს მუშები და გლეხები ზეიმობენ მენშევიკური უღლისგან განთავისუფლების 10 წ. თავს. 1921 წლის 25 თებერვლის გადატრიალებამ ბოლო მოუღო მენშევიზმის სისხლიან თარეშს საქართველოში და საერთაშორისო იმპერიალიზმის განუკითხავ პარპაშს. მენშევიკები და მათი მფარველები მეორე ინტერნაციონალიდან ცდილობენ დაამტკიცონ, თითქო ჟორდანიას მთავრობა წითელმა არმიამ დაამხო. მაგრამ ისინი ვერავის მოატყუებენ. მათი ბატონობა დაამხო მათმავე პოლიტიკამ — მუშათა კლასის ინტერესების დავიწყებამ საქართველოში ბურჟუაზიული წყობილების განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით, მიწების დატოვებამ მემამულეების ხელში, ქედის მოხრამ უცხოეთის იმპერიალიზმის წინაშე, კაცი - ჭამიობის პოლიტიკამ, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ მეზობელ ხალხების (სომხეთი და აზერბეიჯანი) მიმართ (რასაკვირველია, ზოოლოგიური შოვინიზმის პოლიტიკის გატარებაში ქართველ მენშევიკებს არ ჩამორჩებოდნენ დაშნაკები და მუსავატისტები), დამსჯელი ექსპედიციების გზავნამ ამბოხებული გლეხების წინააღმდეგ, სრული თავისუფლების მიცემამ სპეკულიანტებისათვის, რამაც ისედაც გამწვავებული სასურსათო მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა.

„მუშები და მოსამსახურეები იტანჯებიან სიმშილისაგან იმ დროს, როცა აქვე, მათ გვერდით, არის ხალხი, რომელიც ფუფუნებაში ცხოვრობს, ფლანგავენ ბონების აურაცხელ რაოდენობას, 100.000 მანეთებს არ ზოგავენ 4-6 ოთახიანი ბინისათვის, ბრწყინვალე დარბაზები და კაბინეტები მთელ ღამეს გაჩირაღდნებულია

იმ დროს, როცა ჩვენი მატარებლები მაზუთის უქონლობის გამო აგვიანებენ მთელ 10–15 საათს, როცა მუშები ნავთის უქონლობის გამო ბნელში სხედან... კმარა ცქერა პარაზიტების თარეშისათვის... წინაალმდეგ შემთხვევაში ეს კიდევ უფრო გაამწვავებს ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას“...

სწერდა „ერთობა“. მენშევიკების ოფიციოზი იძულებული იყო ეთქვა სიმართლე, შეექმნა შთაბეჭდილება, — თითქო მენშევიკები იბრძვიან მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ მენშევიკებს არ შესწევდათ არც უნარი და არც ძალა თავის დასაღწევად იმ ჩიხიდან, რომელშიც ისინი მოექცენ.

„19 ნოემბერს.—ვკითხულობთ ქართველ მენშევიკების რუსულ ოფიციოზ „ბორბა“-ში,—პროფკავშირების საბჭოში ირჩეოდა მუშათა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა და საკითხი, თუ რა ღონისძიებებით შეიძლება იგი რამდენიმედ მაინც იქნას გაუმჯობესებული ახლანდელ პირობებში. ხანგრძლივ კამათში, რომელიც მოხსენებას მოჰყვა, ორატორები ეთანხმებოდნენ ერთმანეთს იმაში, რომ **მშრომელთა მდგომარეობა აუტანელია, რომ არა მარტო დიდები, არამედ ბავშვებიც და მოზარდებიც კი გადაგვარების გზაზე იმყოფებიან სიცივის და სიმშილის გამო**, რომ საჭიროა სასწრაფო ზომები მუშათა ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ვერ შეთანხმდნენ საკითხში, თუ როგორი უნდა იყოს პროლეტარიატის მოთხოვნილებები ახლანდელ მომენტში“...

ეს ამონაწერი საგულისხმოა ორის მხრივ. ერთის მხრივ იგი ადასტურებს, რომ საქართველოს მშრომელი მასები თებერვლის გადატრიალების წინ „აუტანელ მდგომარეობაში“ იმყოფებოდნენ, რომ ისინი „გადაგვარების გზაზე იყვნენ დამდგარი“. მეორე მხრივ ჩვენ ვხედავთ, რომ პროფსაბჭოში შეკრებილი პროფბიუროკრატები ვერ შეთანხმდენ საკითხში — თუ რა უნდა მოითხოვოს მუშებმა, ე. ი. ისინი შეთანხმდნენ იმაში, რომ მუშები ვერავითარ მოთხოვნილებას ვერ წარუდგენდნენ მენშევიკურ მთავრობას — ამის უფლება მათ წართმეული ჰქონდათ.

არა უკეთეს მდგომარეობაში იყო გლეხობა, რომელიც ძველებურად გმინავდა მემამულეების უღელ-ქვეშ, რომლებმაც შეინარჩუნეს თავიანთი მამულები და „დემოკრატიულ“ მთავრობისგან — ღალისა და საიჯარო გადასახადის აღების უფლება.

გასაკვირი არ არის, რომ ასეთ პირობებში მენშევიკური ხელისუფლების არსებობის სამი წლის განმავლობაში ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა მშრომელი მასების ბრძოლა იმპერიალიზმის ტაკი-მასხარების მთავრობის წინააღმდეგ (რომელიც ბოლშევიკებთან ბრძოლის მიზნით დენიკინელებთან თანამშრომლობასაც კი არ ერიდებოდა). 1921 წლის თებერვალში ეს ბრძოლა საქართველოს მუშებისა და გლეხების სრული გამარჯვებით დამთავრდა.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ, რუსეთის მუშებისა და გლეხების დახმარებით, სწრაფად აღადგინა მენშევიკების მიერ სრული განადგურების კარამდე მიყვანილი სახალხო მეურნეობა. რეკონსტრუქტიულ პერიოდში ჩვენი სახალხო მეურნეობა დაადგა სწრაფი განვითარების ზრდას (ჩვენი მრეწველობის ზრდის ტემპები უფრო მაღალია, ვიდრე საბჭოთა კავშირის მრეწველობის ზრდის ტემპები). ჩვენ უკვე გადავაცილეთ ომის წინადროინდელ დონეს. შენდება მთელი რიგი ახალი ფაბრიკა - ქარხნები და ელექტრო - გიგანტები, მტკიცე საფუძველი ეყრება ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავების საქმეს, ვითარდება მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები. სასოფლო მეურნეობა სოციალისტური გარდაქმნის — კოლექტივიზაციის საფუძველზე — გამოვიდა განვითარების ფართო გზაზე. გაუმჯობესებულ მანქანა - იარაღების, მიწის სასუქების გამოყენების, ფართო აგრონომიულ დახმარების წყალობით ყოველწლიურად იზრდება სასოფლო მეურნეობის შემოსავლიანობა. არაჩვეულებრივად ვითარდება ტექნიკური კულტურები, რომლებმაც მომავალში თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავონ საქართველოს სასოფლო მეურნეობაში და კიდევ უფრო გაზარდონ მისი შემოსავლიანობა.

უცხოეთში გადაბარგებული მენშევიკები ყოველ გზა-ჯვარედინზე გაჰყვირიან ქართული კულტურის „დეგრადაციაზე“ და სხვ. მაგრამ ვის მოატყუებენ ისინი! არასოდეს ქართულ ნაციონალურ კულტურას არ ჰქონია ისეთი ფართო გასაქანი, როგორიც აქვს ახლა. ქართული თეატრი, რომელიც მენშევიკების დროს სულს ღაფავდა, რომლის მსახიობები სიმშილით კვდებოდნენ, ახლა სანიმუშოა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, სწორედ იმ უდიდესი მზრუნველობისა და ყურადღების წყალობით, რომელსაც მას საბჭოთა ხელისუფლება აქცევს. ხელოვნების რომელ დარგს არ უნდა გადახედოთ, ყველას ემჩნევა არაჩვეულებრივი განვითარება.

საბჭოთა ხელისუფლებამ სასკოლო განათლების საქმე უმაღლესი დონეზე აიყვანა. მარტო ის რად კმარა აღინიშნოს, რომ ერთი უმაღლესი სასწავლებლის მაგიერ, რომელიც მენშევიკების დროს იყო (1500 — 2000 სტუდენტით, რომლებიც სანახევროდ შიმშილობდნენ), ამჟამად თბილისში გვაქვს 15 უმაღლესი სასწავლებელი (15.000 სტუდენტით, რომელთაგან 10.000 კაცი სტიპენდიას იღებს და უზრუნველყოფილია ბინებით და კვებით), რომ მიმდინარე წლის დამლევისათვის სრულ ლიკვიდაციას უშვებით წერა - კითხვის უცოდინარობას და ვამზადებთ მტკიცე ნიადაგს საყოველთაო - სავალდებულო სწავლების შემოსაღებათ.

ჩვენი მიღწევები მტრებისთვისაც კი უდაოა. ქართული კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაცია მენშევიკების მეთაურობით, საერთაშორისო იმპერიალიზმის, დეტერდინგების და ჯონისონ ჰიქსების დახმარებით ლამობს დაიბრუნოს დაკარგული ბატონობა. მაგრამ საქართველოს მუშებსა და გლეხებს კარგად ახსოვთ, თუ რას წარმოადგენდა მათი „დემოკრატიული წალკოტი“. ამაოთ ოცნებობენ მენშევიკები ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებაზე. გაკვეთილმა, რომელიც მათ მიიღეს 1921 წ. თებერვალში და 1924 წ.— აგვისტოში, უნდა იკმაროს მათთვის. საქართველოს მუშებს და გლეხებს შესწევთ საკმაო ძალა ძირშივე წაჰკვეთონ სისხლიანი ხელები, რომელსაც ჩვენსკენ იშვერენ სოციალისტური მშენებლობის ჩასაშლელად.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ თანამშრომლობას სოციალიზმის ასაშენებლად!

გაუმარჯოს ამიერ - კავკასიის ფედერაციას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

# გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების ათი წლის თავს



ამხ. სერგო ორჯონიკიძე



ამხ. აბელ ენუქიძე



ამხ. ფილიპე მახარაძე



ამხ. ლავრენტი ქართველიშვილი



ამხ. მიხა ცხაკაია



ამხ. მამია ორახელაშვილი

## ლავის მნგრეველები

1.

მუხის წელმაგარი ბოძები გხვდებიან გზა და გზა. ბიგების თავზე მუხისავე ჭერია და გვერდებზე სინესტეზე ამოსული სოკოები. ვიწრო ლიანდაგის მარცხნით პატარა რუ მიდის. მღვრიე წყლის ხმაურს უერთდება დაპრესილი ჰაერის შიშინი მაღაროში ლითონის მილით მინადენი. გვერდით ელგაბმულობაა. მაღაროს სიღრმეში ჩანან პირმცინარე სანათურები. ისინი გზას უნათებენ მუშებს, აქრობენ სიბნელეს და რელსსა და რელსს შუა ჩამდგარ ცხენს ახალისებს. შავი ქვით დატვირთულ რონოდებს. გზაზე ტალახია. მღვრიე გუბეები. ნესტიანი ჰაერი ბაგეთ ეხვევა ბოძზე მიკრულ სანათურებს. ხელნათურით მომარჯვებული მუშა გზას იკვლევს ლავაში მიმავალი.

მაღარო ღრმაა და მთას ბურღავს. № 25-თი შორსაა, შეჭრილი მიწის წიაღში, აცლის მას სიმდიდრეს. მას „ოქტომბრის 10 წლის თავის სახელობა“ აქვს მინიჭებული. ძლიერია სახელი. მებრძოლთა თვით ეს ოცდამეხუთე. შარა გზასავით იხლართება მაღაროს მაგისტრალი და გვერდებზე პატარა შტოებია. შტო ლავაა და პატარა შესავლით იწყება. ძირს ფხვიერი მიწაა. ზოგან ნახშირი. ლავიდან ისმის კირკის ხმა, ბურღის გრიალი, ნიჩბის ბრძოლა ნაშალთან; და დაღმა დაშვებულ „ვაგონეტკების“ ხრიალი. მიდის მადანი. ყოველი კუნჭული თავის წვლილს გზავნის და მაღაროს პირში განუწყვეტელი დენაა ნედლი მასალის.

2.

მოხრილი სხეული მისჯდომია კლდის ცხვირს. მოკლე ტარიანი წერაქვი ხვრეტს მადნის გულს... კლდის ქანი იშლება. ინგრევა, მუხლებთან შავი ბელტები. იზრდება ნაშალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერაქვი ბრაზობს და ეშხში შედის მნგრეველი. იბრძვის კლდე, არ ემორჩილება თითქოს ადამიანს და ჯიუტობს. მნგრეველი კი ისევ განაგრძობს... სცემს დაუზოგავად. უკან მას უცდის „ლაფათქა“, უცდის რონოდა და მთელი ქარხანა: სარეცხი მანქანები და სოციალისტური წარმოება. ეს იცის ლასუნმა. ქვა ისევ ჯიუტობს... მაგრამ კაცი მაინც არ ისვენებს, ოფლი სდის შუბლზე, გახურებული სხეული ექავება... მოისვა შუბლზე ხელი, ლვედებათ ჩნდება შავი ლაქები სახეზე, კუპრივით ქვა აშავებს პირს... მთხრელი ისევ კირკას სცემს და ახსოვს, რომ სხვა ლავაში მეზობელია მიმჯდარი. აცლის და აცლის მადანს ქვას, გზავნის ქარხანაში. ამიტომ ლასუნი ახლა უფრო მედგრად უტევს გაჯიუტებულ ქანებს. აგერ კირკის წვერი იფლობა... მიუნაცვლა: ერთი, ორი სამი და მოსძვრა მთელი **ფენა.**

ფეხების ქვეშ ივსება ხვრელი, მნგრეველი გახარებულია!... ვაჟკაცის გული მედგრად სცემს... უხარია, რომ ნორმას აჭარბებს. ამეტებს 180 ფუთს და შეჯიბრებაში იმარჯვებს. ასრულებს საწარმოო გეგმას, რისთვისაც მას წითელ დაფაზე აღნიშნავენ... დაფასთან გაივლიან ამხანაგი მუშები, დაუკვირდებიან წითელ ნაწილს... ჩამოიკითხავენ მის გვარსაც.

რა კარგია, როცა ასეულები გაფასებენ!.. ყველას შეენატრება, რომ ის საუკეთესო დამკვრელია. საწარმოო კომიტეტი მადლობას გამოუცხადებს და დირექციაც ჯილდოზე წარადგენს...

რა კარგია დამკვრელობის სახელი!.. მნგრეველი იღიმება; თეთრი კბილები და მსხვილი კაკლის ოდენა თვალების ტრიალი.

— ჩვენ, ხომ მესამე წელში ვართ! ხუთწლედის მესამე წელში! მაშ მეტი ამოცანები გვაქვს გადასაჭრელი: ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება, გავაუმჯობესოთ წარმოება და ვაშენოთ სოციალიზმი. აი, დღიური წესრიგი დამკვრელის. ლავის მნგრეველმა იცის ეს და შრომას განაგრძობს, უტევს მადნეულს და უხარია, რომ მილიონი მუშასავით თავდადებულად იბრძვიან სოციალისტური წარმოებისათვის... ახალი ცხოვრებისათვის. ლასუნის სხეულზე ოფლია, ოფლში ირევა შავი ქვის მტვერი და იფარება სახე. მნგრეველმა მოსჭრა ნორმა. ჯერ ნახევარი დღეა გასული, მაღაროს მუშამ ღრმად ამოისუნთქა: ჩაყლაპა გრილი ჰაერი და ისევ კირკას მოუბრუნდა. ისმის ცემა. ყრუ მდუმარებას არღვევს მნგრეველის ქშენა და კირკის გამუდმებული ბრძოლა შავი ქვის ძარღვებთან.

**3.**

პერევისის გორაკები დაქსელილია მაღაროებით. შავი ქვის ძარღვებს მიყვება გვირაბები და სოფელს ქვეშ უვლის. მიწის გული ნელა სუნთქავს... კომპრესორი ქაქანით გზავნის რამოდენიმე კილომეტრზე. დატენილ ჰაერს, რომ სწრაფად აამოქმედოს ჰაერის ბურღები, რკინის მილიდან რეზინის მილებით მიდიან ლავებში. შტოებში ხმიანობს ჰაერი და ანგრევს შრეებს. მუშების ძალებიც ეხმარებიან მუშებს დამკვრელობაში. შეჯიბრებამ, ჩაბმულმა დამკვრელებმა თითონვე სცადეს ახალი გაუმჯობესებული წესების შემოღება. გამომგონებლები ახლა იბრძვიან მუშებთან ერთად სოციალიზმისათვის, ასეთები ამ მაღაროშიაც არიან. გვირაბი დიდი ხნისაა და ბევრის მომსწრე. პირველ მის მუშებს ახლა თეთრი შეჰრევიათ. „მოვხუცდით“ იძახიან, თუმცა გვირაბი ჯერ მაინც ნოყიერია და საკმაოთ მდიდარი.

ახალგაზრდა მუშა ჯინზე ზის, მუცლით გადაწოლილა მადნეულზე, და მსხვილ კეტს ლითონის მილზე ურახუნებს. გზაში გაუვალი ხმაურობაა. რონების ჯაჭვი ილუნება ყოველ მოხვეულში. ნესტოებგაგანიერებული ცხენი, ღონიერი, ფრუტუნით ეზიდება ტვირთს, ცოტა გულმოსულია, რომ გზადა გზა ხვრელში ტვირთს უმატებენ. პატარა გვირაბების კარებთან ხვდება სავსე ვაგონეტკები; შეაჩერებენ, გამოაბამენ უკან და ისევ მიარიხინებს დაორთხებული გასავალ კარისკენ.

ქარავანი სწრაფად მოძრაობს, მაღაროს შუაზე დაღმართი იწყება, მაშინ წითური ლაფშა საჭირო აღარაა... გამოხსნიან და მის მაგიერ, „თავისით“ გარბის ქვა სასწორისკენ. ქარავანს კუდზე მემუხრუჭე უზის. მსხვილი რკინის თავგაბრტყელებულ კეტს უყრის თვლებში და გაქანების საშუალებას არ აძლევს. უშლის თავბრუ დახვეულ სიარულს.. ეს საშიშარიცაა, რადგან მჩატე ჯინი ასცდება რელსს და მთელი ქარავანი ჩავარდება. გადაიჩეხება გზიდან და გამოზიდვა შეჩერდება. ამ დროს გადასადავებული კუნთებმაგარი ცხენი ძაგით აედევნება უკან ქარავანს და გარბის მზის სინათლისკენ... რა გასავალს მიუახლოვდება, დღის შუქი თვალებს სჭრის, ნაბიჯით განაგრძობს გზას... ქარავანი წინ გარბის, დაცლილი ხვდება სასწორთან.

— გზა! ყვირის მეორე ქარავანი, ხრიალით გაივლის გზას და მიეშურება მაღაროდან. ლასუნის მენიჩბემ აავსო რონოდა. ლავის პირზე გამზადებული უცდის მიმავალ მზიდავებს. აგერ ისიც... მოდის გრიალით და მოაქვს ოცამდე სავსე ღრმა მუცლიანი რკინის გოდორი, მენიჩბემ რონოდას ცარცით მიაწერა „№ 21“, გზაც დაულოცა...

— საღამოთ ანგარიში უმზადდება ლასუნის ბრიგადას. „№ 21“ მისი სამუშაოს რიგია და სწორათ ნიშნავენ ამ ნომრის გამოღებას. ეს მეექვსე დატვირთვაა და მაშასადამე ნორმაც შესრულებულია, მაგრამ ჯერ ხომ კიდევ ერთი მესამედი ნაშალია გამოტანილი... ეს იცის დამკვრელის მედგარმა ბრძოლამ, ოფლის აბაზანებმა და საქმემ გმირობისამ. გვირაბის მთხრელი გმირები შორი შორს ჩამსხდარან თავთავიანთ ბუდეებში. ანგრევენ კლდეს, ქვის ლოდებიც გამოერევა ხშირად და ბექნებათ იგზავნებიან გარეთ. ეს პირველი ხარისხისაა. შავად ბზინავს. ლავის მნგრეველები ნამდვილი გმირები არიან. მათ სინდისი საქმედ ქცევიათ გმირობა. ტემპს მიუყვებიან. თუმცა შეიძლება ნელი მუშაობაც!... აბა როგორ შეიძლება, რომ ყოველ ლავს, ყოველ ორ მუშას თავზე თითო ინჟენერი დაუყენოთ კონტროლისათვის!

ლავი ცალკეა შეთხრილი მიწის გულში. დაშორებული ცხოვრობს მთავარ გვირაბიდან. ლავის გმირებიც ამ სიღრმეში შედიან დილით და გამოდიან ნაშუადღევს. გამოსვლამდე მათთან უფროსი მუშა შეიარს. ინჟენერი დაათვალიერებს სამუშაოს მდგომარეობას, მაგრამ მათ შემდეგ ხომ შეიძლება ლავში ჩაყუჩდე და უცდის აშაბაშებას!... შეიძლება, როგორ არ შეიძლება, თაღლითობით და უკან უკან წევითაც შეიძლება ადმინისტრაციის მოტყუილება... ამას ლავის მუშები არ კისრულობენ. ისინი წარმოებას არ ატყუილებენ. სინდისიერად ურტყამდენ ბურღს. ერთგულად ემსახურებიან სოციალიზმს, ამიტომ არიან ისინი გმირები, ნამდვილი შავი ქვის გმირები. ხალისით შრომა მათი საკუთრებაა და ამ ენტუზიაზმით მოძრაობს მაღარო თავისი ათეულ შტოებით.

**4.**

ლავიდან გასულმა ლასუნმა სიგრილე იგრძნო, ტილოს წამოსასხამი მოიხვია და განიერი ნაბიჯით გასწია. დანარჩენ ლავებიდანაც იწყეს დენა მუშებმა, შაბაშის ნიშანი მიიღო მაღარომ. ელნათების კამარამ ამცნო გვირაბს დრო. შარშან აქ ელექტრონის სინათლე არ ჰქონდათ. გვირაბს უწინ დამკვრელი ფორმა ამუშავებდა. სინამდვილეში აფუჭებდენ უფრო. პირველად შავი ქვის ტრესტს საკუთარი ელსადგური არ ქონდა. კარუტომ კი მას თავისი არ დაანება. სანამ საბჭოთა წარმოება საკუთარ სადგურს აშენებდა, მანამდე ფარნებით დადიოდენ ციცინათლებივით გვირაბში და ხელის სანათურებს მხოლოდ ხვრელებში ხმარობდნენ.

ლავებიდან გამოსულ გუნდებს შეუერთდა სახე გამურული ხალათიანები. ხუმრობით დაიძრნენ გვირაბის გასავლისაკენ. მხიარულმა ხმებმა გააცოცხლა მიწა. მუშათა ჯგუფებმა განვლო ვიწროები, ერთგან გვერდი შეუარეს ჩამონგრეულ ბიგებს და ჭერს. აქ ახლა შეკეთება სწარმოებს. მარჯვნით ბოძები დაძველებულია, დამპალ ბიგებს მუხლებში ძალა გამოლევია და დაწოლილი სილა, ქვა და რიჭკი ჩამონგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



**კლიმენტი ეფრემის ძე ვოროშილოვი**

**ამხ. ვოროშილოვს, დაბადებიდან 50 წლის შესრულების გამო, საბჭოთა კავშირის მშრომელებმა გადაუხადეს იუბილე. ამხ. ვოროშილოვი 28 წელიწადი იმყოფება ბოლშევიკურ პარტიის რიგებში, ამ წლების განმავლობაში მისთვის უცხო იყო რაიმე მერყეობა და პარტიის გენერალური ხაზიდან რაიმე გადახრა.**

**ამხ. ვოროშილოვის ნაყოფიერ მუშაობის შედეგები თვალწინ გვაქვს: ამჟამად წითელი არმია მთლიანად, როგორც ეს იძულებულნი არიან აღიარონ ჩვენმა მტრებმაც, გაიზარდა მძლავრ ძალად, რომელიც ფხიზლად სდგას საბჭოთა კავშირის საზღვრების სადარაჯოზე.**

---

რევით იმუქრება, ამიტომ ძველ გზას ანახლებენ. აფართოვებენ გვირაბს, და ახალ ბოძებს უდგამენ! ამაგრებენ. მაღლიდან ცივი წვეთები სცვივა; დაძველებულ თაღებიდან ჟონავს წყალი. აწვიმიანებს გვირაბს. ლავის დამკვრელებმა დასტოვეს ეს ადგილიც, სადაც ორი წყების შემდეგ მესამე მუშაობს შეკეთებისთვის. გვირაბი მუდამ დღე სამ წყებათ ღებულობს ახალ ახალ ჯანიერ ვაჟკაცებს. ისინი ღრღნიან მის გვერდებს... ეს პირველი სმენაა. მეორე გასავალში ელოდება. შრომა განუწყვეტელია, და მადანიც შეუჩერებლივ გამოაქვთ. შავი ქვის ძარღვი ზედ ეკვრის დედამიწის განსაზღვრულ ფენას. ის არ ეშვება სიღრმეში ცერადმართულად. ეს უფრო აადვილებს მაღაროების გამართვას. სამაგიეროდ ქვა ჯიუტი მოსაჭრელია. წერაქვი ხშირად ტყდება. ერთ მუშას თადარიგი მიაქვს ყოველთვის, მოწყობილ სახელოსნოდან.

მიმავლებს გზაზე მადნით დატვირთული ჯინები წამოეწია, ქარავანმა გაფანტა ჯგუფი, უმადურათ გაუარა გვერდით და თავის გზას გაუშურა.

სამუშაოზე თავდანებებულმა მუშებმა სიმღერა შემოსძახეს. გვირაბის სიღრმეში გაისმის გუგუნი. შორეული ბუტბუტი, რომელიც კაცის ხმას არ ჰგავს, არც სიმღერაა, არამედ გვირაბის საკუთარი ხმაური, საიდუმლო ლაპარაკი.

— გაუმარჯოს ამხანაგებს!

— გაუმარჯოს!

— მოდიან, მოდიან!

შეჩოჩქოლდა გვირაბის კარზე მდგარი მორიგი ცვლა. ისინი პირველ ცვლას უცდიან. ელოდებოდენ შაბაშს. შემოსავალში ას ორმოცდაათზე მეტ მნგრეველს და მენიჩბეს მოუყრია თავი.

მათ ემატება მზიდავები, რომლებიც შეკაზმულ ცხენებს და ცარიელ ჯინებს მიუძღვიან. მაღაროს კარში მხიარულმა ხმებმა იმატა, ლავიდან გამოსულებს ეხუმრებიან ნაცნობები.

— ამათ დედოფალი მოყავთ! საქორწილოთ გამოწყობილან!!...

იხუმრა ვიღაცამ, სახე შეცინებული მუშები ოხუნჯობენ. გვირაბიდან ახლად გამოსულებს „გაგიმარჯოს“ეუბნებიან. ულოცავენ ერთმანეთს. ასეთი ჩვეულება აქვთ. სალამს აუცილებლად ეტყვიან შეხვედრისას, მით უმეტეს მაღაროში მყოფთ.

— დედოფალი კი მოჰყავთ, მაგრამ ცოტა შავია.

შენიშნა შეჭალარავებულმა წერაქვიანმა. მის ხმაზე სიცილი ასტყდა, გვირაბიდან გამოსულებსაც გაეცინათ, გადიხარხარეს. რადგანაც იციან, რომ ისინი შავი ქვის მტვრევაში არიან გამურულები და თეთრი კბილები უჩანთ მარტო.

— კოწია, ჩვენს შტოზე თაოთმშესუსტებულა, რაღაც ჩამოწვადა და ბიგები მიეცით პირველად.— იაოო

დაარიგა ლასუნმა მისი შემცვლელი მუშა. ის უფრთხილდება თავის ცვლას. ყაირათიანად ჟღორებს ლავის მდგომარეობას. აცნობს მდგომარეობას ამხანაგებს.

ცის დასავლეთიდან გორაზე მოფარებულმა მზემ უკანასკნელი სხივები სტყორცნა მაღაროდან გამოსულ თავის მნგრეველებს, გახურებული გვერდები ხარბად ისუნთქავენ თავისუფალ ჰაერს. მნგრეველები აჩქარებული ტემპით მოისწრაფიან ახლად აგებულ მუშათა საცხოვრებლისკენ.

**მიხ. ჩიქოვანი.**

# ახალი თბილისი

თბილისის მერვე მოწვევის საბჭოს არჩევნები ჩატარდა და ახალი საბჭოს უხდება მუშაობა არაჩვეულებრივ პოლიტიკურ პირობებში. ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის ასეთი ჩქარი ტემპით წინსვლა - განვითარება, ჩვენი ხუთწლიანი სამუშაო გეგმის ზოგ დარგში სამ წელში შესრულება; სოფლად კოლექტიური მუშაობის დასახული ხუთი წლის გეგმის უკვე გადაჭარბებით შესრულება, ელექტროფიკაციის დარგში დიდი მიღწევები და საერთოდ საბჭოთა 'აღმშენებლობის გასაკვირალი ზრდა, ყოველ დარგში, მოსვენებას არ აძლევს საბჭოთა ხელისუფლების მტრებს.

ავღნიშნოთ ზოგი რამ მთავარი მიღწევებიდან თბილისის საბჭოს, თბილისის მუშების, მუშაობაში. ელექტროფიკაციის საკითხში ჩვენ უკვე შევასრულეთ დიდი მასწავლებლის **ლენინის ანდერძი.** ზაჰესის ენერგია ჩქარა შეუერთდება რიონჰესის ენერგიას. ამათ მიემატება სხვა ჩვენი ელექტრო სადგურების ძალა და ამუშავდება ელექტრო ძალით არა თუ ყველა ჩვენი ქარხანა - ფაბრიკები, ტრამვაი და წყალსადენები, არამედ თვით რკინის გზასაც აამუშავებს საქართველოში შეძენილი ელექტრო ენერგია. იგივე ენერგია აამუშავებს თბილის - კოჯორის რკინის გზას, რომლის გაყვანა ძველმა საბჭომ დაავალა ახალ საბჭოს.

საბჭოთა ტეხნიკამ მოიპოვა გამარჯვება წყალსადენის გამოყვანის საქმეშიც.

თბილისის წყალსადენი დაძველდა. ის ძლივს გვაძლევს დღე და ღამეში ორ მილიონ ვედრო წყალს. ეს თბილისს არ ყოფნის. თბილისი იზრდება და აი აქ საბჭოთა ტეხნიკამ კარზე მოგვიყვანა და საცაა კიდევაც გავიგრილებთ გულს ნატახტარის ცივი და სალი წყაროების წყალით. ნატახტარი პირველადვე მოგვცემს ოთხ-ხუთ მილიონ ვედრო წყალს დღე და ღამეში და შემდეგ მისი რაოდენობა შეიძლება ავიყვანოთ, საჭიროების კვალობაზე, ათ მილიონამდე.

მარტო ნატახტარით არ თავდება ჩვენი ცხელი თბილისის გაგრილების საქმე.

ჩვენ მეორე მხრიდანაც გველოდება გასაკვირალი და დაუჯერებელი, ზღაპრული, მაგრამ ნამდვილი ამბავი. ლენინის რაიონში, მაღლა მინდორში, სამ მარილიან ტბებში, რომლებიც დღეს კოლოებს და ციებას ავრცელებენ, უნდა გადმოვიდეს მდინარე იორის წყალი. ამ მიზნისათვის თიანეთის ახლოს დაგუბდება მდინარე იორი. აქედან ეგრედ წოდებულ **ხამგორის არხით,** წამოვა იორი თბილისისაკენ და დაგუბდება სამგორს შუა და გაასუფთავებს — გააჯანსაღებს რა დღეს დამყაყებულ, მარილიან ტბებს, გააცოცხლებს და აამწვანებს რევოლიუციის აკვანს, ლენინის რაიონს, და საჭიროების დროს მორწყავს და გაანაყოფიერებს დღეს უდაბნოქცეულს — ნავთლუღ - ველგარდაბან - ყარაიას მინდვრებს.

უკვე დაწყებულია მუშაობა ჩვენი ბალნეოლოგიური სადგურის აშენებისათვის. თბილისის აბანოები, თბილისის ცხელი წყლები — ეს იშვიათი მოვლენაა. თბილისის საბჭომ უკვე მიაპყრო ამ საქმეს ყურადღება. ხოლო საჭიროა ავაგოთ ისეთი სადგური, საჭიროა მოვაწყოთ ისეთი კურორტი, რომელიც განაკურნებს და გააჯანსაღებს მშრომელ მასებს. აბანოების რაიონში უნდა მოეწყოს სრულებით ახალი ქალაქი, თავისი სასტუმროებით, კურორტებით და ბაღ - სკვერებით. ის უნდა შეუერთდეს ჩვენს ბოტანიკურ ბაღს.

ბალნეოლოგიურ სადგურიდან შორს როდია მეორე საყურადღებო ალაგი — ისიც ჯანმრთელობისათვის დანიშნული.

არავითარ სენს, არავითარ ავადმყოფობას არ მოაქვს იმდენი მსხვერპლი, რაც ჭლექს, ჩვენი ქალაქი აქამდიც ებრძოდა ამ საშინელ სენს. მაგრამ სულ სხვაა დღეიდან ჩვენი ბრძოლა ამ ავადმყოფობის წინაამდეგ. წყნეთის ქუჩაზე № 16 — ამჩნევთ თქვენ საყურადღებო და ლამაზ შენობას. ეს არის ჩვენი ტუბდისპანსერი.

მაგრამ ამით არ ამოიწურება ახალი ტფილისის მიღწევები. ამას გარდა მრავალი სხვა დიდი აღმშენებლობაც მიმდინარეობს.

თბილისი იცვლება. სოციალისტური აღმშენებლობა მტკიცეთ მიმდინარეობს საქართველოს და ამიერ-კავკასიის ცენტრში.

**ს. დოლიძე.**

# სათებერვლო თქმა

თუ, მეგობრებო, სიხარულით ავსებულნი ვართ,
თუ ყველა მშრომელთ ასე ეგზომ აქ უხარიათ,
თუ დღეს სიტყვები ჩვენი მეხის ხმისებურია
და შრომის მხარე დიდებული და მქუხარეა
ეს ყველაფერი, მეგობრებო! გვერგო თებერვლით,
ეს ყველაფერი ბრძოლით, შრომით გვაქვს შეძენილი
ოქტომბრის ხანძრით თებერვალი არის ნთებული,
როცა მფლობელ მტრებს ვსძლიეთ ბრძოლით, ვსძლიეთ ლენინით!
და... გავიმარჯვეთ იმის შემდეგ, აგერ ათია!
დღეს აქ ქარხნები მღერენ ჰანგებს ახალ ხანაზე;
მღერენ ხმამაღლა მშენებლობის ტემპებს, განთიადს!
ზოგი თავიდან გვღალატობდა მუხანათურად
და ზოგი ისევ უიმედოთ ბინდმა დასძირა...—
ეპოქალურად ვინც ამდენ ხანს ვერ გამართულა—
დღესვე სიკვდილი ასეთისთვის სჯობს ათასწილად.
სალამი ყველას.—ამ ათ წალში—ვინც მედგარობდა—
დიად შრომაში გულდაგულ და თავგამოდებით.
ვდგევართ მხარ და მხარ ავსებულნი ენტუზიაზმით,
და ინდუსტრიას ვამეტყველებთ დამკვრელ ტემპებით!..
სოციალიზმის აშენება არის მზე-აზრი!—
და ჩვენც ამიტომ ვშრომობთ მისთვის თავგამეტებით!..
შრომის ბურჯებო!—მშენებლობის მოგანგაშენო!
სასიხარულოდ ახანძრებულ ქარხნებს გახედეთ!—
ყოველი ფრონტი მიღწევებით ჰყვავის გარშემო!...
და ამის გამო შურით, ბოღმით მტრები გახელდენ!!
და კვლავ ლამობენ მავნებლობით დღეს ჩვენს დანგრევას,
რომ დაიბრუნონ „დიდება“ და ხელგაშლილობა,—
მაშინ ამ ქარხნებს გადავაქცევთ ბრძოლის სანგრებათ!—
გადავიქცევით თვითეული ცოცხლად!!
ვისლა დაუთმობთ ინდუსტრიის დიად საქმეებს,
მისთვის ამდენი ბრძოლები გვაქვს გადატანილი.
შრომის ექსპრესი მიზნებისკენ ელვებრ გვაქანებს
და ამ ექსპრესის მემანქანე არის სტალინი.
ამხანაგებო! — დამკვრელებო! — შრომის რაინდნო.
სასიხარულო ხმები ჰქუხდეს! როგორც ლალუმი
დღეს ხანძარივით განთიადი ათი აინთო!—
ათი დიადი მიღწევებით ჯერ არ ნახულით!..

**შალვა შაჰფრიანი.**

# ლენინის დროშით მოვიპოვებთ მიღწევებს სოციალისტურ მშენებლობის გასამარჯვებლად





## საბჭოთა საქართველო

დაბრკოლებებს
წარბიც არ შეუხარეთ,
გადავლახეთ
ზღუდე
  გადულახველი;
მიღწევები,—
მოყვრებს
გულს ხომ უხარებს,—
ლახვარია —
ყველა ჩვენი მძრახველის!

ბოლშევიკურ
შრომის გამომსახველი
დამკვრელების
დროშა მიმოფრიალებს
და საბჭოთა
საქართველოს სახელი
მტრის ბანაკში
მრისხანებით გრიალებს!
უზორკილო
ხალხის შემოქმედება
ახალ - ახალ
მრეწველობას აჩაღებს
და რაც მეტი
გიგანტები შენდება,
დამბლასა სცემს
ბურჟუებს და ყაჩაღებს!
იქ, სოფლების
თვალუწვდენელ ხნულებში
ბატონები
ყმებზე აღარ ჰკივიან;
ჩამორთმეულ
მდიდართა მამულებში
ღარიბების
ძმური კოლექტივია!
და იქ,
სადაც
იყო ღამე
უკუნი,
სადაც მხოლოდ
მიკიოტი ჰკიოდა,—
ესმით გლეხებს
ელსადგურის
გუგუნი
და კონცერტი
ხმა-მაღალ რადიოდან
ეჰ, ვინ ასწერს
რაც აქ ასაწერია,
ვინ გადიღებს
ფერადებით ტილოზე?



ყველაფერი
ახლად ასამღერია
აჩქარებულ
მშენებლობის კილოზე
მაშ, ჩვენც ვსჭექოთ
ჰიმნი ეპოქალური
რომ საბჭოთა საქართველ
შენდება,
რომ სამყარო,
გულში ცეცხლდაფარულ
იფეთქებს და...
წითლად გადათენდება!

**გ. ქუჩ[illegible]ვილი**

## თეზშრევლის გმირი

(დამკვრელი ქალი)

დგები დაზგასთან ქალი მკლავ-მარჯვე,
დღმილს გაარღვევს დაზგის ხრიალი;
სოციალისტურ ცხოვრებას აჩენს
ტემპში დამკვრელი ადამიანი!
ხრუნვით უცურებ გამურულ კედელს,
მაღლა ამოდის ბოლი ნახშირის;
ქუნთ-მარჯვედ ხალხმა ხელებით ჰედეს
სოც-მშენებლობა ფართედ გაშლილი!
თუ წინეთ იყო ბრძოლის ყვირილი,
ხელში გეჭირა თოფი და ბომბა,—
რევოლუციის მებრძოლი გმირი
ეხლა აბრუნებ—დაზეთილ ბორბალს!
ტემპებში დაკვრით, ყვირი ამხანაგ,
გულში ჩადგა ტემპი ძარღვებით;
შენ მოუწოდებ დამკვრელ ამხანაგს;
აყვირდეს დაზგა და გამარჯვება!
დაზგა მუშაობს შმაგი ხრიალით,
ლვედ-შემორტყმული რკინები ბრუნავს;
გულ-მანქანა გაქრა შრიალით
და ნაცვლად გადაყვა ბურანს!
ბოლშევიკური გული გაქ ტანში
ბოლშევიკური ტემპები გიყვარს;
ამ გაქანებულ ტემპების გზაში
მეცობარ დაზგას ბუქსირზე იყვან!
სიხარულით ამბობ ისევე:
საფეიქ-გაზები და სოც-შეჯიბრი;
შეხორცებულ გიგანტ-შენებას
ამ გამლიფ ფრონტის ერთი რაზმელი,
თუ დაიწყება ომი გულშავი,
მტრის წინ დავდგები ხელში ვაზნებით —
და აი, როგორც დამკვრელი ქალი
მიღწევებს აქვს მაღალ ხარისხის;
დამკვრელ ტემპებში, დაკვრითვე უტევ
და გამარჯვების ხმები გაისმის!
დაზგა ხმაურობს ისევ ხრიალით
დგეხარ დაზგასთან—ტემპის მეხლებით
ბრუნავს რკინები, ღვედის ტრიალით,—
და დაზგებით ჩვენც ავჭუხდებით!

**კონსტანტინე პანტურიშვილი.**





## წითელი ჯარი

სალამი ჯარსა, წითელ ლაშქარსა,
რევოლუციის ქარ-ცეცხლში შობილს;
ოქტომბრის ცეცხლის ალში განბანილს,
შრომა, ბრძოლაში, მძლედ გამოწრთობილს!.

—:—

ცამეტი წლისას, მზარავსა მტრისას,
საგუშაგოზე ფხიზლად მდგომელსა;
მძლედ გადამლახველს ეკლიან გზისას,
გულს რომ გვიხარებს ყველა მშრომელსა.

—:—

ჩვენც, თქვენთან ერთად, ძალთ შემაერთად,
პროლეტარსა არვის დავუთმობთ;
ვერავსა მტრებსა, დაუნდობლებსა,
ცხამ-გესლით სავსეს გულსა გაუპობთ.

—:—

დე... ისისინონ გველთ ქარავნებმა
და ულმობლად აფრქვიონ შხამი:
მინღურებმა, გარეულებმა,
მანამ ხელთა აქვსთ დრონი და ჟამი.

—:—

დე... მათ დაანთონ ომის ხანძარი!
იმ ცეცხლში თვითვე ჩაიწვებიან;
მშვიდი ცხოვრების მავნე მზაკვარნი;
ჩაიმუმლიან, ჩაინთქებიან.

—:—

ჩვენ გვემარჯვება შრომა და ბრძოლა,
არ გვრცხვენს სიკვდილი იმის წინ თრთოლა
ალამს მივიტანთ ალთქმის ქვეყნამდე;
არ დავისვენებთ გამარჯვებამდე...

**შაქრო ნავთლუღელი.**

## წითელარმიელის სიმღერა

1.

უოველთვის ტემპი
წინ მიმიძღვება
და მხედრულ რიხით მეც ხმას ვიმაღლებ
— რომ არ დაგიპყრო, არ შეიძლება,
დაგძლევ —
ტეხნიკის ციხე-სიმაგრევ!
თუ მისწრაფება თვალზე ჩქარი გვაქვს
მხედარის გული —
მუდამ წინ გასწი,
ტეხნიკას იპყრობს მთელი არმია...
მეც ვარ ტეხნიკის ენტუზიასტი.

2.

მეკითხებიან პლაკატები,
და ლოზუნგებიც სიტყვას მიმიზნებს;
კითხულობ გაზეთს—ვინმე თუ გჯობნის —
გრძნობ უჩვეულო გულის ტკივილებს,
თუ შეჯიბრში ხარ გამოწვეული.
და ბოლშევიკურ ტემპებით მიხვალთ,
ჩვენც იერიშით წავალთ, დამკვრელო,
ტეხნიკის ციხე-სიმაგრის მიმართ.

3.

არ შევჩერდებით ერთი წუთითაც
ტემპი სიჩუმეს აღარ მანებებს;
ჩვენ დამკვრელურად ვსწავლობთ ტეხნიკას
ბრძოლის ტეხნიკურ საშუალებებს.
ტეხნიკას გული.
ტეხნიკას სისხი!
ტემპი მხედრული ავამუშაოთ...
იერიშზე ვართ...
გაიხსნა ცეცხლი —
საბჭოთა-მიწის ფრთხილო გუშაგო.

**ვ. დარასელი.**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დ ე - ი უ რ ე“*)

შუადღეზე გადასული იყო, როცა ივლიანემ ორი დღის საგზალი, ლობიოგართული ჭადი ჩანთაში ჩაწყო და შორიგზაზე გამგზავრებულმა ცოლს მიუბრუნდა:

— მარიკო, აბა შენ იცი რა ჭკუით იქნები ოჯახში... დაფქული თუ მოგაკლდეს ნესტორიედან ჩეისესხეთ და ამასობაში მეც ქე ამოვისწრებთ თუ არ დეიქცა ქვეყანა...

მარიკომ ოხვრით უპასუხა ხანშესულ ქმარს, წალმა მოაბრუნა და ცრემლებმორეულმა სლოკინით ჩაიჩიფჩიფა: „წალმა მოგიყვანოს შენმა გამჩენმა და შენი ცოლშვილის ცოცხალმა“..:

ცეცხლის პირას ბავშები შეჩოჩქოლდა.

— ბაბა, პურს ხომ მომიტან ოზურგეთიდან?..

— წულები არ დაგავიწყდეს...

ტანფეხშიშველი ბავშვები კარზე მიდგენ და მიმავალ მამას თვალი გააყოლეს...

— ვაი თქვენ დედას შვილებო...—მძიმედ ამოიოხრა ისევ მარიკომ და ცეცხლის პირას ჩამოჯდა... ლობიოშემხმარ კარდალში წყალი ჩაასხა და ჯაჭვზე შემოკიდა...

ივლიანე უკვე შარაზე გაჩნდა და ჩოხატაურისკენ მიმავალ ევტიხის რომ თვალი მოჰკრა, ნაბიჯს მოუჩქარა, ევტიხის წამოეწია და ქვეყნის ამბავი მოიკითხა...

— წუხელის, ბგვინვა თუ გეიგონე ევტიხი?

— რა გრგვინვა, ივლიანე, რას ამბობ?—შეეკითხა ევტიხი ყურის მეზობელ ივლიანეს და მხარზე შამხანა შეიმჩატა..

— რა და... წუხელის... ასე, ვახშმობის დროს. იმისთანა დაბგვინა ორჯერ, იმისთანა, რომ ვიფიქრე, აგია დაიქცა ღვთის გაჩენილი ქვეყანა მეთქი... ჯერ მიწისძვრა მეგონა, სახლი ისე ააწიწკინა, მარა როცა მეორე ჯერ დაბგვინა, სწორედ ისე, რავაც ზაფხულში გაგიგონია, მაშინ..

— კი, მაგრამ ზამთარში ჭექა-ქუხილი?!—დაეჭვდა ევტიხი და წუხანდელი ღამე მოიგონა... მოიგონა, მაგრამ არაფერი გაახსენდა გარდა იმისა, რომ გუშინ საღამოს ევტიხი ძალზე მთვრალი იყო, ძილმორეული და ამიტომ უაზრო ფიქრებს თავი გაანება...

ევტიხი რაიონულ შტაბში მიიჩქაროდა სამორიგეოდ. ივლიანე კი, სხვა, მასავით ხანშესულ გლეხებთან ერთად ერობის თავმჯდომარეს ყავდა დაბარებული მინისტრთან შესახვედრად და ...

დანარჩენს იქ მოისმენდა ყველა მათგანი, თუ რა მიზანი ქონდა დღეს მინისტრის ჩამოსვლას ჩოხატაურში და მოსახლეობის (მამაკაცების) უკლებლივ მოწვევას განურჩევლად მათი ხანშესულობისა..

— თებერვალში ქუხილი შეიძლება?—კვლავ შეეკითხა ევტიხი ივლიანეს და ხელში თოვლის გუნდა აიღო, მაგრა მოკუმშა და გულგასაგრილებლად ყინულად ქცეულ თოვლს ლოკვა დაუწყო.

— შეიძლება—შეაყოვნა პასუხი ივლიანემ— შეიძლება, მაგრამ ისიც კი გამიგონია, რომ თებერვლის ქუხილმა დიდი ფათარაკი იცისო... რა ვიცი მამაჩემი ასე იტყოდა და...—დაუმატა ივლიანემ, თითქო თქმულის სინამდვილე თვითონ მასაც ეეჭვებაო და უკან მოიხედა. შარაზე მათკენ მომავალი ნიკიფორე შენიშნა, და ევტიხი გააფრთხილა:

— აგერ, ნიკიფორეც წამოგვეწევა და მასაც ვკითხოთ.

ჩქარა მგზავრებს ნიკიფორეც წამოეწია და ახლა უფრო გაცხოველდა კამათი წინღამინდელ ჭექა-ქუხილზე.

— ქუხილი კი არა...—ჩაიქნია ხელი ნიკიფორემ და აჭარულად თავწაკრული ყაბალახი ნიშანდობლივად შეამოძრავა...

— აბა რა იყო?..

— შენი აზრით რა იქნებოდა?—თითქმის ერთდაიმავე დროს იკითხეს ივლიანემ და ევტიხიმ.. იკითხეს და გულაფანცქალებულნი პასუხს დაელოდენ.

ნიკიფორე პასუხს განგებ აგვიანებდა.

— რა იყო აღარ იტყვი ადამიანო?.. თუ ტყუილად გვაინტერესებ და შენც ისე არაფერი გაგეგება, როგორც მე და ივლიანეს..

— რა იყო ჩემო ბიძია და.. რავა, ჭექა-ქუხილი სად გაგონილა თებერვალში?! ათას წელიწადში საცხა ერთხელ მოხდება...

— აშველე კაცო თუ რამეს ამბობ, თორემ გაივსო მოთმინების ფიალა.—განერვიულდა გვარდიელი ევტიხი და ჩუმი ბრაზია შესაგრილებლად ერთი გუნდა თოვლი ვაშლივით ჩაკბიჩა და გადაყლაპა... ყინულმა ევტიხის ყელი აუწვა და ნაძალადევი ხველა დააწყებინა..

— თქვი შე კაი კაცო, რავა პატარძალივით პატიჟობ?—წამოეხმაურა ევტიხის ივლიანეც.

— რა მოხდა, ნიკიფორე, რა?—ვერ ისვენებდა დაინტერესებული ევტიხი.

— რა მოხდა და... ის მოხდა რაც უნდა მომხდარიყო...—ისევ გამოაზოგა სიტყვა ნიკიფორემ და აჭარული თუთუნი სლოკინით გააბოლა, სათუთუნე ქისა ქამარში გაირჭო და გაჩაღებული ჩიბუხით ჰაერში კვამლის ნისლი დააყენა.

— რაა?..

— რა მოხდა? რა უნდა მომხდარიყო;—სხაპა-სხუპით იკითხა ევტიხიმ და ასე მოულოდნელად უგუნებობა დაეტყო.

— რა და... საჯევახოს ხიდი აუფეთქებიათ... ღამით კი...

— დაიდაბლა ხმა ნიკიფორემ—სწორედ ვახშმის დროს, როგორც ივლიანე ამბობს, ხატახებში მოხდენიათ ზარბაზნებით შებრძოლება...

— აბა შემოსულან ბოლშევიკები და ეს აორს?..

ევტიხი ცარცივით გაუფერულდა, გულზე აუტანელი სიმძიმის დაწოლა იგრძნო და მისდაუნებურად მუხლები ისე მოეჭრა და მოეთენთა, რომ თანამგზავრებს ჩამორჩა რამდენიმე ნაბიჯით...

— აბა, გათავებულია ყველაფერი?—არ დააყოვნა ივლიანემ და სახე გაუბრწყინდა: „იქნება გვეშველოს და ჯარში გაწვევას გადავრჩე ამ სიბერის დროს“—ფიქრობდა გულში ივლიანე და თვალწინ შიშველ-ტიტველი ბავშები და ოჯახის წევრები ელანდებოდა.

— საცაა შემოვლენ კიდევ...—დაბეჯითებით სთქვა ნიკიფორემ.

— კი მაგრამ მინისტრი რომ იბარებს ამ ხალხს?..

— იბარებს, მაგრამ..

— რა, ვითომ ყალთაბანდობენ რამეს?

— არა მაგრამ...გაიქნია თავი ნიკიფორემ და ფიქრებს მიეცა.

— არ გაბრიყვდე ნიკიფორე... არ დაგაჯეროს კაცმა, რომ რამიშვილი უომრად დათმობს გურიას... სურებში დაბადებული კაცი გურიას ასე რავა გაიმეტებს, რომ... საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდებაო—სიფრთხილით განაცხადა ევტიხიმ შტაბში ყურმოკრული ამბავი და თანამგზავრებს ისე გადახედა, თითქო თვალებით სურს ანიშნოს „არ გამამხილოთ“-ო.

— მობილიზაცია?.. ქვეყანა ამოწყვიტა და ახლა აცხადებს საყოველთაო მობილიზაციას?.. ვნახოთ...

— ვნახოთ კი არა, დანამდვილებით ვიცი რომ საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდება დღეს—გაიმეორა ისევ ევტიხიმ და ყორეზე მიდგა ჩავარდნილ წვივსახვევების შესასწორებლად.

უცებ ამინდი შეიცვალა...

ტყვიისფერი ღრუბლები აირია ცაზე.

გაწვიმდა.

მგზავრებმა ნაბიჯს მოუჩქარეს.

წვიმით გაიშვანა ნატკეპნი თოვლი და ძირგამცდარ ქალამნებში აჭიყჭიყდა წყალი და ტალახი.

ჩქარა წვიმა თოვლით შეიცვალა და მაურიანის სიფართე ფანტლები პეპლებივით აირია დანისლულ სივრცეში.

აგერ ჩოხატაურიც.

ხალხი გროვდებოდა ყოველი კუთხიდან. აქ იყვენ მეტწილად ხანშესულები და მოწაფეები. მოწაფეებს შორის კი ისეთებიც, რომელთაც ამ ორი კვირის განმავლობაში ორჯერ მოახერხეს მოხალისედ ჩაწერა და ინგლისური ყვითელი ბატინკების მიღება და შინ გამოპარვა და ახლა კიდევ მესამეჯერ რომ ლამობდენ ასეთის მიღებას თუ გინდ ოზურგეთის ცეიხჰაუზიდან...

— გამოვეწყობი და... ბრძოლით ვისაც უნდა იმან იბრძოლოს... ამბობენ თავისთვის ზოგიერთები.

— საცაა შემოვლენ კიდეც და ვინ რას მომთხოვს?!—იმაგრებდენ გულს დანარჩენები და მართლაც ასეთ არევდარევის დროს რანაირ მოთხოვნა-სამართლიანობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი..

ბევრს აინტერესებდა ზედმეტი წყვილი ბატინკებისა, ბევრს საპალტოები, ბევრს ჯორები და სხვა სამხედრო ამუნიცია..

ბრძოლა კი...

აბა, მაშინდელმა „მებრძოლებმა“ თვითონ თქვან, ვისთვის იყო სახალისო ბოლშევიკებთან ბრძოლა და ომი?!..

დაბინდდა..

შტაბის წინ არაჩვეულებრივი ფაცი-ფუცია..

ისმის საველე ტელეფონის სახელურის გულის გამწვრილებული ღრიჭინი...

— ოზურგეთია? ა? გამოვიდა?... კი მაგრამ..

— მოდის!—მოიტანა ამბავი შიკრიკმა.

— მოდის?! აბა...—დაფაცურდენ ერთბაშად შტაბელები.

— მოდის თვარა...—წაილუღლუღა ვილოცამ თავისთვის.

— როგორ აგვირაბებს ეს უპატრონო.—საყვედურობენ შორიდან ჩამოსულები, რომელთაც დუქნის წინაც კი ვერ უშოვნიათ თავშესაფარი და ცის ქვეშ დამდგარნი თოვლის ქულით რომ შეფუთვნილან.

— სმენა!—დაარღვია სიჩუმე შტაბელმა და სოფლებიდან ჩამოსულები მიდგენ-მოდგენ შტაბის წინ მდებარე ქუჩის ორივე მხარეზე.

შტაბის წინ გაჩერდა მინისტრის შეთოვლილი ეტლი, კოფოდან გადმოხტა ორი იარაღმოძარჯვებული. ორიც ეტლიდან გამოძვრა... ტარმოსევადებელ მაუზერებითა და კოხტა ყარაბინებით...

და ბოლოს.

გამოყო თავი ბ-მა მინისტრმა.

მინისტრს პატაკით შეხვდა შტაბის თავმჯდომარე და იქვე მოეწყო სახელდახელო მიტინგიც....

შტაბის აივანი გამოყენებულ იქნა ტრიბუნის მაგიერად და...

— მამულიშვილნო!—დაიქუხა პირველი სიტყვა მინისტრ რამიშვილმა.

— რაიო? მამულიშვილნოო?!—ჩაილაპარაკეს ჩუმად ზოგიერთებმა.

— რა ახალგაზრდა ყოფილა აი რამიშვილი!?

— რავა მაყვალივით შავი წვერი აქვს..,

— ამდენ ხანს არ გინახავს... შენი მეზობელი კაცია...

— ფინთი კი უნდა იყოს იმფერი შეხედულება აქვს.

გააკეთეს თავიანთი შენიშვნები სოფლელებმა,

— მამულიშვილნო!—დაქაჩა წვერები რამიშვილმა და ენერგიული სახით გამოყურადემ ხელი ჰაერში გაიქნია.

*) იხ. „დროშა“ № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გურია წარმოშობია ბრძოლებსა და ომებში, მაგრამ ისტორიას ჯერ არ ახსოვს გურულების გატეხა და დაბეჩავება... დღეს —და მოყვა მინისტრი „ბარბაროს ბოლშევიკების“ წინააღმდეგ სახელდახელოთ შეთითხნილ „ლოცვა-კურთხევას“.

— რაო?

— გაგვიუპატიურებენ?

— გვარდიელებს ოსეთს და სომხეთში ქვა-ქვაზე არ დაუყენებია და...—აჩოჩქოლდენ ჩუმად ზოგიერთები.

— სიჩუმე მოქალაქენო!—ჩაერია საქმეში შტაბის თავ-რე.

— გურულებო!—განაგრძობდა მინისტრი პათოსითა და მგზნებარე სიტყვებით—გამოდით ქუდზე კაცი, როგორც ეს მუდამ სჩვევია გურიას და ერთხელ კიდევ დაუმტკიცეთ ტანჯულ სამშობლოს, რომ თქვენ მზადა ხართ საქართველოს სუვერენობისა და ხელშეუხლებლობისათვის...

— მეზობლებო, მამულიშვილო გურულებო! ნუ დაიზარებთ იარაღის ხელში აღებას... გავამაგროთ გურიის საზღვრები ბურნათიდან—სურების ულელტეხილამდის, გავამაგროთ საზღვრები ჭოგნარსა და საჯევახოს შუა.

— საჯევახო ხომ დატოვებულია...—წამოიძახა ვიღაცამ.

— საჯევახო, მართალია, დავტოვეთ, ძმებო გურულებო, მაგრამ სამაგიეროდ ჭოგნარი ჩვენს ხელშია, ჭოგნარს დღეს იცავს ჩვენი სახელოვანი გვარდია და ჯარის ნაწილები. გამაგრებულია ნატანები... გამაგრებულია ბათუმი, ბარცხანა და კახაბერი... და დღეს თუ ჩვენ ვაწარმოებთ თავდაცვასა და იერიშების მოგერიებას, როცა გადავალთ შეტევაზე, როცა საერთო ძალით დავსცხებთ ბოლშევიკურ ურდოებს მაშინ...

— დავსცხებთ კი არა...,

— დიახ, როცა ჩვენ გადავალთ შეტევაზე, როცა ჩვენ გავამაგრებთ სურებისა და ბაღდადის ულელტეხილს...—მინისტრი ისევ გადავიდა თავბრუდამხვევ ლამაზ სიტყვებზე ერთხელ კიდევ შეამკო გურულები და მათი მამულისადმი თავდადება, მათი წარსულითა დღევანდელი გმირობა, მაგრამ...

ძიტინგი დამთავრდა მეტად უსიცოცხლოდ.

სიცივისაგან ხელებდაკრუნჩხილებმა ტაშის დაკვრაც ვერ მოახერხეს მინისტრის სიტყვის დასასრულს, რაიც შეუმჩნეველი არ დარჩა თვითონ ბ-ნ მინისტრსაც, მაგრამ...

— დღესვე გაგზავნეთ რამდენიც მოახერხოთ—ჩიუარუხდა მინისტრი შტაბის თავმჯდომარეს...

რამიშვილი წასასვლელად მოემზადა.

— მოემზადეთ წასასვლელად!—არ დააყოვნა შტაბის უფროსმა განკარგულება და შტაბის წინ შეიქნა უთავბოლო წრიალი.

— ფეხშიშველი ვართ ბატონო აფიცერო და...

— ხმა! ფეხშიშველი....—გამოიცოხნა სიტყვა შტაბის უფროსმა და დანარჩენებს მიუბრუნდა.

— ორი საათის შემდეგ ნაგომარში უნდა ვიქნეთ ყოველ მიზეზს გარეშე...

— საჭმელი?

— ხომ გითხრეს ორი დღის საგზალი თან უნდა წამოიღოვო....

— კი მითხრეს, მაგრამ რომ არ დამირჩა გამოსაცხობი.

— გაჩუმდი... ნაგომარში ორი საათის შემდეგ... გესმით?!

ორმოცამდე კაცი დაიძრა ადგილიდან...

— თოფის თრევა მაინც არ შემიძლია, მარა ასე უთოფოთ რა საჭირო ვარ ჯარში ბატონო ოფიცერო!—შენიშნა ერთმა ასე სამოცი წლის მოხუცმა, რომელსაც თოფის მაგიერ ხელში გრძელი ყავარჯენი ეჭირა და ხანშესულობის გამო ფეხებს ძლივს ლა მიაფრატუნებდა.

— ნაგომარში დავარიგებთ იარაღს... გასწით!...

„ჯარი“ დაიძრა ჩოხატაურიდან....

აგერ შავებით დაყურსული მოხუცი წამოდგა წინ და ეტლში ჩასაჯდომად მომზადებულ მინისტრს ცხვირწინ აეტუზა... მოხუცის ნატანჯი სახე არანორმალურად გეჩვენებოდა პირველსავე შეხედვაზე... ამოწითლებული თვალები, მიბნედილი სახე, უმოძრაო და გაშტერებული სულით ავადმყოფის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

— მე... მე ბატონო მინისტრო...—მოხუცი პალტოს სახელოზე წაეპოტინა ბ-ნ მინისტრს, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა შტაბის თავ-რეს და მინისტრის სპეციალურ მცველებსაც, რომელთაც ერთის წაბიძგებით მოაშორეს მინისტრს მოხუცი..

— რავა... უსამართლობა მინისტრო თვალწინ?...

— მე... მე...

მინისტრი შეიშმუხნა... წვერი დაიფხიკა და ხელზე თათმანები მოიხადა, ისე რომ მოხუცისთვის ცალი თვალითაც არ შეუხედნია.

— რა უნდა?...—იკითხა ბოლოს ბ-მა მინისტრმა.

— რა გინდა მოხუცო!...—გადასცა მდივანმა მოხუცს და ზიზღით გადახედა..

— რა მინდა... მე...

— ჰო რას თხოულობ? გვაგვიანდება...

— მე... სარჩოს ვთხოულობ სარჩოს... ჩემი მარჩენალი ბიჭი რომ აქანე ჩამიკალით გველივით.. აქანე რომ დამიხრჩვეთ... შინმოსული... აგია თქვენი სამართალი?!

— რას ამბობს?—არ ესიამოვნა მინისტრს მოხუცის საჩივარი.

— ბოდავს.... ალბად ავადმყოფია...—განმარტა პირადმა მდივანმა.

— მე არ ვბოდავ, ბიძიკო, მე სარჩოს მოვითხოვ, სარჩოს, ჩემი შვილის ცოლშვილის და მოხუცი დედმამის სარჩოს მოვითხოვ...

— შეშლილია ნამდვილად...—დაემოწმა პირად მდივანს მინისტრიც და ეტლში მოისვენა.

— შეშლილი?!! შეშლილი თქვენა ხართ, რომ ეს ხალხი უსამართლოთ ამოჟუჟეთ და ამოწყვიტეთ, მაგრამ.. ეჰ! დაგელოცა ღმერთო სამართალი!.. ჩემი შვილის დამკარგავი დღეს მართლაც როგორ ვარ ჭკუაზე.... უპედური ბიჭია გიორგაძე, რა დროს შეესწარი ამ სიბერის ხანს..—წაიჩიფჩიფა თავისთვის მოხუცმა და გზა განაგრძო.

— იქნება მართლა უჭირდეს რაიმე?—დაეჭვდა ბოლოს მინისტრი და ეტლიდან თავი გარედ გამოყო, მაგრამ რაკი მოხუცი ვერ დაინახა, ისევ დამშვიდებით დაჯდა მისთვის მიჩნეულ ადგილზე. ეტლი დაიძრა ოზურგეთისაკენ და მინისტრის ეტლს აედევნა სპეციალურად შერჩეული ცხენოსანი გვარდიელები..

სახელდახელოდ შეგროვებული „ჯარი“ დაიძრა ნაგომრისაკენ, თოვს...

უბერავს დასავლეთის ნელქარი და თოვლის სუსხიანი კორიანტელი ყინულებად იფარება „ჯარისკაცების“ გათოშილ სხეულზე ძონძებად მოხვეულ ბუშლატებსა და დახეულ ფარაჯების ფარატინებზე.

— ბატონო აფიცერო!—სასოწარკვეთით წამოიძახა გზაში ვიღაცამ და თოვლში ჩაიკეცა.

მოუხედეს....

— გული შეუღონდა.

— ალბად მშიერია...

— შეცივდა და მოშივდებოდა კიდეც...—დაასკვნეს გარშემოხვეულმა თანამგზავრებმა და გულწასულს მოსულიერება დაუწყეს...

— რა ამბავია?—იკითხა ოფიცერმაც.

— გული შეუღონდა... მშიერ-მწყურვალი და...,

— სიჩუმე!.. დაუზილეთ ყურები და გონს მოვა..: არაყი არავის გაქვთ? ჩორტ ვოზმი, სამი საათია გზაში ვართ და..

ქარი გაძლიერდა ნაგომრის ჭალებში...

პირქარზე სიარული ცი თითქმის შეუძლებელი შეიქნა.

— მიშველეთ!—ჩაიკეცა ახლა მეორე.

— თავს იკატუნებთ... მათრახი მაგათ ზურგზე.—კბილების ხრჭიალით ბღაოდა გამხეცებული ოფიცერი და სიარულში გახურებულ ცხენს წინდაუკან დაათხმახებდა.., დამფრთხალ წიწილებივით დაფანტულ „ჯარის“ ნაწილებს გულმოდგინედ ზვერავდა. „არავინ გამეპაროსო“ ფიქრობდა ოფიცერი და „ჯარისკაცებს“ თავს ქორივით დასტრიალებდა.

შუაღამე იქნებოდა, როცა ნაგომარში ჩავიდენ. არც ბინა... არც ცეცხლი... არც ვახშამი.

არაქათგამოლეული ჯარისკაცები სამიკიტნოებში დამარქაფდენ ოფიცერის განკარგულებით.

თუჯის ღუმელებზე გათბენ და სული მოიბრუნეს...

— იცით ახალი ამბავი?—შეიქნა ჩურჩული სამიკიტნოში.

— რა?—ერთხმად იკითხეს „ჯარისკაცებმა“ და თავისუფლად მოფუსფუსე მოქალაქეებმაც.

— მთავრობა გაქცევას ფიქრობსო.

— ტყვილი იქნება... რამიშვილმა ახლა არ ჩეიარა?!

— სწორედ იმიტომ ჩეიარა, რომ არც კი შეჩერებულა... ეჩქარებოდა ალბად..

— ტყვილი იქნება..: მოჭორავდა ვინმე...—ჯიუტობდენ ზოგიერთები.

— კაცი ვნახე... ბათუმის ციხიდან გამოქცეული.. ქორიძე..

— რომელი ქორიძე... სერგო?—იკითხა ერთმა.

— ჰო, გუშინ გამოქცეულა სხვებთან ერთად ბათუმიდან და ფეხით გადმოუვლიათ მთელი მანძილი... ორ-სამ დღეში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდება მთელ საქართველოშიო... ალბად იცოდენ რაიმე როცა ციხიდან გამოიქცნენ.

— სად მიდიოდა?..

— დავალება ექნება რაიმე... ალბად გადატრიალების დროს ხელისუფლებას ჩაუდგება სათავეში რომელიმე რაიონში...

— ახალი ამბავი?—შემოვიდა კიდევ ვიღაც სამიკიტნოში. ნაგომარში სამიკიტნოები გახდა ახალი ცნობების გამავრცელებელ ცენტრად.

— რამიშვილი გასულა თუ არა ოზურგეთიდან, ოზურგეთი ბოლშევიკებს ჩაუგდია ხელში.. ჯარი დაშლილა და... დაფანტულა...

— პროვოკაცია იქნება...

— რა ამბავია?—ხორხოში ხმით იკითხა სამიკიტნოში შემოსულმა ოფიცერმა...

— ამბობენ თითქო ოზურგეთში ბოლშევიკები შემოვიდენო...

— ამბობენ... მაგრამ... შტაბს ვერაფერი გავაგონე—აბლუკუნდა დავთარდაბნეული ოფიცერი. „ჯარისკაცებში“ მითქმა-მოთქმა გახშირდა.

— დავბრუნდეთ უკან...—განაცხადა კატეგორიულად ნიკიფორემ და სხვებს გადახედა...—ივლიანე წავიდეთ შინ... აქ რას ვაკეთებთ...

— ვერსად ვერ წახვალთ... სანამ შტაბის განკარგულებას მივიღებდეთ ოფიციალურად...

— სამიკიტნოში ჩოჩქოლი შეიქნა.

გამოჩნდენ აქა-იქ მალულად სოფლებში შემოპარული ბოლშევიკები...

— ამხანაგებო!... მიხედეთ თავ თავიანთ ოჯახებს... ომი დასრულდა...—განაცხადა ერთმა ჯარისკაცმა, რომელიც ის იყო სამიკიტნოში შემოვიდა..

— დასრულდა?!?...

— დიახ, „დამოუკიდებელ საქართველოს“ მთავრობამ ეს არის ამ რამდენიმე წუთის წინ შესცურა ზღვაში და...

— ნუ თუ მართალია?

მეორე დღეს დილით ყველასათვის ნათელი გახდა მთავრობის გაქცევის ამბავი...

სამფეროვანი დროშები დალვრემილი გამოიყურებოდენ სამიკიტნოებსა და წვრილ სავაჭროების აბრების გასწვრივ..

პანტ. ჩხიკვაძე.

# საბჭოთა აღმშენებლობა



სოციალისტურ მშენებლობის გამარჯვების ათი წლისთავზე. სურათზე: ბათომის ბენზინის საწმენდი ქარხანა, ზაჰესი, აბაშის რკინისგზის ახალი ხიდი, თბილისის ლითონის ქარხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მავნებლები

## (ნაწყვეტი „სამნი"-დან)

...გაიარა კიდევ რამოდენიმე წელმა და ამიერკავკასია საალმშენებლო ფერხულში ჩაება.

მფრინავი ლოზუნგები: „ინდუსტრიალიზაციის გზით სოციალიზმისაკენ!" „სოფლის მეურნეობის გარდაქმნა კოლექტივის საფუძველზე", „დავეწიოთ და გაუსწროთ!" „ხუთწლედი ოთხ წელში!"—ამხნევებდა ენტუზიასტებს.

ხუთწლიანმა გეგმამ არც ერთი კუთხე არ დასტოვა.

ყველგან შეიჭრა: მთაში, ბარში! ქალაქად, სოფლად! ყველა აამოძრავა.

ჩქარის ტემპით შენდებოდა ქარხნები და ელექტრო-სადგურები.

იბურღებოდა მთები და ითხრებოდა მინდვრები სარწყავ არხების გასაყვანად.

ერთი ასეთი არხი გაჰყავდათ სამი რესპუბლიკის საზღვრებთან და იმავე არხზე შენდებოდა უდიდესი ელექტრო-სადგური—სახელად „ცენტრუმ".

ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკის კოლექტივებიდან აქ იყო წარმოგზავნილი ორ-ორი მუშა. შეგროვდა ხუთი-ათასი მიწის მთხრელი, რომლებსაც ხელმძღვანელობდენ ყველა ეროვნების სპეცი ინჟინრები და ტეხნიკოსები.

იქ, სადაც სადგური უნდა აშენებულიყო, ერთს თვეში ტრიალ მინდორზე მოიფინა ორ სართულიანი სახლები, გაშენდა პატარა ქალაქი—ეს იყო მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინები.

გელა, ერვანდი და ქერბალა-რიზა—სამი ახალგაზრდა, სამი კომუნისტი და მშენებლობის ენტუზიასტები, რომლებიც ხელმძღვანელობდენ ახალ აღმშენებლობას—ამჩნევდენ, რომ უფროსი ინჟენერი ბოლო დროს მოღუშული იჯდა კაბინეტში. თანაშემწეს—მის ერთგულს სამსონს—რაღაც საიდუმლო განკარგულებებს აძლევდა.

გრძნობდენ, რომ საქმე სადღაც ფერხდებოდა, მაგრამ სად? ან რა მიზეზით?—ჯერ ვერ გამოერკვიათ.

უფროსი ინჟენერი ჩაწოლილიყო ტყავის დივანში—ძვლის სათვალეებს სწმენდავდა.

თანაშემწე „მურიასავით" თვალებში შესცქეროდა, აბა, რა სიტყვას გადმომიგდებსო. ეს იყო დალეული კუსპარა, გრძელი ცხვირით. მუცელიც ძველი ციებისგან უშნოდ ჰქონდა გადმოგდებული და პატარა კაცს სასაცილოდ ამახინჯებდა.

— შენ წარმოგიდგენია, ეს გრანდიოზული საქმე გამარჯვებით დამთავრდეს — რა მოხდება? სამთა კავშირი და ელექტრო-სადგური, ეს არხი—ფუძე და საძირკველი საბჭოთა ხელისუფლების!

თანაშემწე თვალებ - დაჭყეტილი უსმენდა უფროსს და თან კარებისკენ გაიხედავდა, რომ უცბად გელა, ან ერვანდი, ან ის „ვერზილა" ქერბალაი - რიზა არ შემოსულიყო.

— მაშ აქამდე რად ვმუშაობდით ასე თავგამოდებით ერთგულად?

ეკითხებოდა თანაშემწე.

უფროსი ინჟენერი, რომელიც იყო ამავე დროს გამგე მთელი მშენებლობის, წამოდგა ფეხზე, მივიდა თანაშემწესთან და მხარზე ხელი დაადო:

— აქამდე? აქამდე „ესენი" უნდა დამხობილიყვნენ და გაკეთებულს სხვა დაჰპატრონებოდა... სხვა! ეხლა ესენი თანდათან ძლიერდებიან. სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია წარმატებით ხორციელდება და ხუთწლედის რეალიზაცია სავსებით უზრუნველყოფილია... საჭიროა „ფრონტის" შეცვლა, თუ არ გვინდა ჩვენი ხელით ყელის გამოჭრა!

— მაშ როგორი უნდა იქნას ჩვენი მუშაობის გეგმა? — გულის კანკალით ეკითხებოდა თანაშემწე.

უფროსმა ინჟენერმა გაიარ-გამოიარა. პაპიროსი ამოიღო. თანაშემწესაც მიაწოდა და უთხრა:

—მუშაობის გეგმა? შენ თვითონ მიხვდი! ეს აშენებლობა დუღაბით შეაკავშირებს ამიერკავკ. ერებს, როცა ნახავენ და მოიმკიან მის ნაყოფს — ამათი კავშირი კი მათ უსპობს ბაზას, რომლებიც გვპირდებიან რესტავრაციას! ეს საქმე გამარჯვებით არ უნდა დამთავრდეს.

— ცემენტის ნაცვლად მიწა მიიღეს!

— მაგრამ ცემენტი ერვანდიმ არ მიიღო... გადმოყარა და სკანდალს გადარჩი შენ...

— მთავარ კედლისთვის ხუთმეტი მეტრის მაგიერ ათი მეტრის გეგმა მიიღე...

— მაგრამ გელამ მუშებს იქამდე ათხრევინა, სანამ ქვის ნიადაგს არ დაადგნენ.

— მაშ მაგ ხალხთან ბრძოლა შეუძლებელი ყოფილა!

— შეიძლება!

უფროსმა ინჟენერმა აქეთ - იქით მოიხედა, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო და სამსონს უთხრა:

— გეგმა სამუშაოდ! პირველი: სადგ. „ცენტრალური" ვისია და ვისთვის შენდება! მეორე „დივიდა ეტ იმპერა"! მესამე: კრიზისი! ერთს მძიმე და აუტანელი მუშაობა, მეორეს — შეღავათი! ერთს შიმშილი და ჭაობი, მეორეს — მარაგის სიუხვე. ამ დროს პროვოკაცია, რომ მათი მეთაურები გელა, ერვანდი და ის „ვერზილა" ქერბალაი — მიკერძოებას იჩენენ თავთავიანთ რესპუბლიკის მუშებისადმი რომ ერთმანეთს ძირს უთხრიან — შუღლი! შეიძლება მოიკლას თურქი, დაბრალდეს სომეხს და უკუღმა! ეს ხუთი ათასი მუშა თავიანთ მეთაურებით ერთმანეთს უნდა შეეჯახენ... ანდა, იძულებული იქნენ დასტოვონ მუშაობა! მაშინ ბრმაც დაინახავს, რომ მათი გეგმა, მათი „კავშირი" არის მხოლოდ ფიქცია!

— მოდის! — დაიძახა თანაშემწემ. ოფლში გაწურული მაგიდას მიუჯდა, ვითომც გართული დიდის მუშაობით...

უფროსი ინჟენერი მოტრიალდა შკაფისკენ, ნახაზების გადმოსაღებად.

შემოვიდა გელა...

უფროსი ინჟენერი განგებ დიდის ხმით ლაპარაკობდა, თანაშემწეს უჯავრდებოდა და ერვანდის ასმენდა:

— დიდათ მაკვირვებს, რომ ზოგიერთს სპეცს ვერ შეუგნია დღევანდელი გრანდიოზული ამოცანა... დღეის შემდეგ აღარც ერთი ნეიტრალური! აღარც ერთი აპოლიტიური...

გელამ ეჭვის თვალით შეხედა... რადგან უკვე მავნებლობის კვალისათვის მიეგნოთ, საიდუმლო გამოძიება სწარმოებდა და უფროს ინჟენერსაც თვალყურს ადევნებდენ...

**სანდრო შანშიაშვილი**

# საქართველოს კინემატოგრაფია ათ წელში

ეროვნული ბიბლიოთეკა







შეიძლება თამამად ითქვას, და ეს ფაქტიურადაც ასეა, რომ საქართველოში კინემატოგრაფია, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, დაარსდა მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების დღიდან. რასაკვირველია 1921 წლამდისაც, მენშევიკების ბატონობის დროს, ესა თუ ის კერძო „ფირმა“ უშვებდა კინო-სურათებს, მაგრამ ამას არც სპეციფიური ქართული ხასიათი ქონდა და არავითარი მნიშვნელობა არა ქონდა კინოს განვითარებისათვის. ამ კინო-სურათებში აღსანიშნავია მხოლოდ „ქრისტინე“ რეჟისორ ა. წუწუნავას მიერ დადგმული ეგნატე ნინოშვილის ცნობილ მოთხრობის მიხედვით. აღსანიშნავია უფრო იმით, რომ ეს იყო პირველი ცდა კინო-სურათის გაკეთებისა ადგილობრივ მასალაზე. ამაზე შორს მენშევიკები ვერ წავიდნენ, რადგან კინო-ხელოვნება კერძო მოვაჭრეთა ხელში იყო და მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მისცა როგორც ხელოვნების სხვა დარგებს, ისე კინემატოგრაფიასაც ფართო გაშლა-განვითარების საშუალება.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურად გარემო გამოიცვალა, ხელოვნება მაინც პირველ ხანებში ინერციულად ვითარდებოდა. ეს ეტყობოდა ყველაზე უფრო კინოს. „ქრისტინე“-ს ხაზი გადავიდა გასაბჭოებულ საქართველოს კინემატოგრაფიაზეც. ნამდვილი გასაბჭოება კინემატოგრაფიის კი არ მოხდა და ეს ხაზი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ეს პერიოდი გრძელდება თითქმის 1928 წ. ძველი ტრადიციებით მუშაობა, ძველი თემატიკის ეკრანზე გადატანა და სხვა

1921 წელში პირველად დაიდგა კინო-სურათი „არსენ ჯორჯიაშვილი“ რეჟისორ პეროსტიანის მიერ. ამ სურათიდან დაწყებული ვიდრე „ელისო“-მდე ე. ი. შვიდი წელი საქართველოს კინემატოგრაფია ვითარდება სამი მთავარი ხაზით. პირველი იყო ლიტერატურული სიუჟეტების გადატანა კინო-ეკრანზე, რომელიმე ქართულ მწერლის მოთხრობის ეკრანზე გადატანა. რასაკვირველია ეს ხაზი იყო მცირედი წინააღმდეგობის ხაზი, რადგან, როგორც არ უნდა დაედგა რეჟისორს მოთხრობაზე აგებული კინო-სურათი, მას მაინც გასავალი ექნებოდა მაყურებელში. მეორეც ის, რომ ზოგიერთ სურათმა მთლად გააბითურა ის მოთხრობა, რომელიც იყო აღებული მის საფუძვლად. მაგალითად თამამად შეიძლება ითქვას, რომ ალ. ყაზბეგის ყველა მოთხრობა გაფუჭებული და დისკრედიტაციაქმნილია კინემატოგრაფიაში. და მესამეც, რაც მთავარია, ის რომ მაშინდელმა სახკინმრეწვის ხელმძღვანელობამ არ იცოდა ის ანბანური კინო-ჭეშმარიტება, რომ ლიტერატურული სიუჟეტის მექანიკური გადატანა კინოში არ შეიძლება, რომ კინო-სიუჟეტი ყოველთვის განსხვავდება ლიტერატურულ სიუჟეტისაგან.

სულ იყო ამ შვიდი წლის განმავლობაში ეკრანზე გადატანილი 12 ქართული, 4 რუსული და 5 უცხოეთის მწერალთა მოთხრობები. კინო-სურათ „ელისო“-თი (1928 წ.) თავდება მთელი „ლიტერატურული“ სერია საქართველოს კინემატოგრაფიაში. ეს მეტად დამახასიათებელი მოვლენაა, რადგან სწორედ სურათ „ელისომ“ დაახლოვა ეს „სერია“ და გარდა ამისა თვითონ აგებული ლიტერატურაზე, პირველი საძირკველი ჩადგა ახალ კინემატოგრაფიის შექმნისათვის. საქართველოს კინემატოგრაფიის შექმნისათვის, საქართველოს კინემატოგრაფიის რეკონსტრუქცია „ელისოთი“ დაიწყო, მაგრამ ამაზე ქვეით.

ქრონიკალურად „ლიტერატურული სერია“ წარმოადგენს ასეთ რიგს: „სურამის ციხე“ და „მოძღვარი“ (21-22 წ.), „მამის მკვლელი“ და „სამი სიცოცხლე“ (23-24 წ.), „ტარიელ მკლავაძე“ (24-25), „ვინ არის დამნაშავე“, „ხანუმა“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“ (25-26 წ.), „ორი მონადირე“ და „გიული“ (26-27 წ.), „ჯანყი“ (27-28 წ.), და უკანასკნელი „ელისო“.

რებულებას წარმოადგენს, მაგალითად „სამი სიცოცხლე" და „ვინ არის დამნაშავე". პირველი პერესტიანის და მეორე ა. წუწუნავას მიერ დადგმული. საერთოდ უნდა ითქვას, რომ როგორც პირველი სურათი, ისე მეორეც ამ თვითეულ რეჟისორის კინო-შემოქმედებითი მუშაობის საუკეთესო ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს. ამ სურათების შემდეგ არც პერესტიანს და არც წუწუნავას ღირსშესანიშნავი საქართველოს კინენატოგრაფიისათვის არ შოუციათ.

თემატიურად არც ერთი ეს მოთხრობა საბჭოთა სინამდვილეს არ ეხებოდა, აღებული იყო საქართველოს წარსული ისიც არა მარქსისტულ კრიტიკით გაშუქებული, არამედ როგორც ნაირ-ნაირი ეკზოტიკა, სადაც ტრიალებენ ხანჯლები, ნაბდები, ყანწები და ლამაზი ქალები. რასაკვირველია ასეთ ფილმებს ქონდა და ეხლაც აქვს გასავალი უფრო მეშჩანურ მაყურებელზე, აგრეთვე ნაციონალისტურად განწყობილ ქართულ ინტელიგენციის ნაწილებზე და მათი კინემატოგრაფიულ ღირსებებიდან, არამედ უფრო იმით, რომ მაყურებელი ცოცხალ სახეებში იგონებს წაკითხულ მოთხრობის ნაცნობ გმირებს და სიტუაციებს.

— და თუ ამ „ლიტერატურულ სერიის" ქართულ მოთხრობებს ცოტათ თუ ბევრად გამართლებულად ჩასთვლით, სრულიად მიუღებელი, გაუმართლებელი და მავნე იყო ლერმონტოვის „კავკასიურ" მოთხრობების გადატანა ეკრანზე ან ლ. ტოლსტოის „ყაზახები"-ს. ჯერ ერთი ცნობილია, რომ ლერმონტოვს კავკასია და კერძოთ საქართველოს მეფის ოფიცრის თვალსაზრისით აქვს გადმოცემული; მეორეც ის, რომ ამ სურათების დადგმა აშკარა კომპრომისი იყო მეშჩანურ მაყურებლის მიმართ; მესამე ის; რომ სრულიად ყალბ შთაბეჭდილებას იძლევიან კავკასიაზე. ეს „ბელა", „თავადის ასული მერი" და „მაქსიმ მაქსიმიჩი" უნდა ჩაითვალოს როგორც დროის, ისე ფულის და ფირის უბრალო დაკარგვათ.

სახკინმრეწვმა სცადა აგრეთვე უცხო აგრეთვე უცხო ქვეყნის თემატიკის ეკრანზე გადატანა, სახელდობრ უცხოეთის მწერალთა მოთხრობები ან დრამები. „ამოკი" (სტ. ცვაიგის), „ბოშათა სისხლი" (ბერკოვიჩის), „ქალი ბაზრობიდან" (ო. ნეილი), „ბორა" (ვოინიჩი), „კომუნარის ჩიბუხი" (ი. ერენბურგი). სურათების ეს სერიაც უნდა ჩაითვალოს გამართლებულად, ზოგი იდეოლოგიურად და ზოგი როგორც იდეოლოგიურად ისე მხატვრულადაც, რასაკვირველია აქ არ ვლაპარაკობთ მატერიალურ წარმატებაზე, რადგან ზემოჩამოთვლილი მოთხრობების ავტორები მსოფლიოს ავტორები არიან და ამიტომ სათანადოთ პოპულიარული ფართე, მეშჩანურ აუდიტორიაში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ „ლიტერატურულ" სერიის მთავარი ნაკლი მდგომარეობს მოთხრობის უშუალო უკრიტიკო გადატანაში ეკრანზე. რეჟისორმა და სცენარისტმა ვერ გამოამჟღავნეს თავიანთი დამოკიდებულება მასალისადმი და მოთხრობის უბრალო გასცენიურობით დაკმაყოფილდენ.

გარდა ამ 20 კინო-სურათისა, სახკინმრეწვის ძველი პროდუქცია 1928 წლამდის, როდესაც მოხდა საქართველოს კინემატოგრაფიის ნამდვილი გასაბჭოება, გამოიხატებოდა ცრუ-რევოლუციონური სურათებით, რომელთა რიცხვში განირჩევა მხოლოდ ერთი სურათი „წითელი ეშმაკუნები" რეჟისორ პერესტიანის მიერ დადგმული (1922—23 წ.) ამ სურათმა თავის დროზე ძლიერ აალაპარაკა როგორც საზოგადოება, ისე პრესა, რადგან პირველი სურათი იყო, რომელიც ეხებოდა ახალ თემატიკას (სამოქალაქო ომს), მაგრამ ეხლა როდესაც საბჭოთა კინემატოგრაფია, როგორც თემატიურად, ისე ფორმალურად ძლიერ წინ წაიწია, რასაკვირველია ამ სურათმა უკვე დაკარგა თავისი წინანდელი მნიშვნელობა. ამ სურათმა გააკეთა თავისი საქმე და უნდა ჩაითვალოს საქართველოს კინომრეწველობის უდავო მიღწევად.

1928 წელს ფაქტიურად იწყება საქართველოს კინემატოგრაფიის ახალი ერა. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების მეშვიდე წელში სახკინმრეწვი ნამდვილად გადავიდა საბჭოთა თემატიკაზე. სრულიად საკავშირო პარტყრილობა კინოსაკითხების შესახებ სწორედ ამ დროს ჩატარდა მოსკოვში და ამ თათბირის დადგენილებანი საფუძვლად დაედო სახკინმრეწვის მომავალ მუშაობასაც.

პირველი სურათი, რომელმაც პრაქტიკულად განახორციელა ეს ახალი ხაზი საქართველოს კინო - წარმოებაში—იყო „ელისო" ახალგაზრდა რეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიასი. ამ სურათს დიდი პრესა აქვს, როგორც რუსეთში აგრეთვე საზღვარგარეთაც. სურათმა მიიღო პირველი კატეგორია მხატვრულ ფილმებს შორის და ამ სურათით სახკინმრეწვი პირველ რიგში გამოვიდა საბჭოთა კინემატოგრაფიაში. აქ ჩვენ არ შევუდგებით ამ სურათის დეტალურ გარჩევას, მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ „ელისო" დიამეტრალურად განირჩევა მთელ აქამდე არსებულ სახკინმრეწვის პროდუქციისაგან. სურათი „ელისო" უდავოდ უნდა ჩაითვალოს საქართველოს კინემატოგრაფიის დიდ მიღწევად. გარდა ამისა ამ სურათმა დაამტკიცა, რომ სახკინმრეწვის კინო-ახალგაზრდობის წამოწევა მხატვრულ დარგში სწორი და მიზანშეწონილი იყო. ამის შემდეგ მთელმა რიგმა ახალგაზრდა მომუშავეებმა გამოუშვა თვალსაჩინო სურათები. რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის სურათმა „საბამ" მიიღო მეორე კატეგორია, ისე როგორც ახალგაზრდა რეჟისორ ლეო ესაკიას სურათმა „ამერიკანკა" (1905 წ. რევოლუციის ხანა). გარდა ამ სურათებისა საქართველოს კინომრეწველობის მიღწევად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე „ახალგაზრდობა იმარჯვებს" რეჟისორ მ. გელოვანისა.

მთავარი, რაც ახასიათებს ჩვენი კინომრეწველობის ამ ახალ პერიოდს, ეს არის კინო-ახალგაზრდობის წამოწევა, 1928-29 წ. სახკინმრეწვმა გამოუშვა სამი შესანიშნავი სურათი: „ელისო", „საბა", და „ახალგაზრდობა იმარჯვებს", ეს იყო ახალგაზრდა რეჟისორების ნამუშევარი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ კარგ სურათებს მოჰყვა თან კიდევ რამოდენიმე სურათი, რომელთაც ვერ გაამართლეს თავის დანიშნულება. ამის მიზეზი პოლიტიკურ-მხატვრული ხელმძღვანელობის უქონლობაში უნდა ვეძიოთ. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ იყო ასეთი სურათები, როგორც მაგალითად „ჩემი ბებია", „შეხვედრა", „კავკასიელი ყაჩაღი", [illegible] და „900 მეტრიან ტალღაზე". ახალგაზრდობას ესაჭიროება ხელმძღვანელობა იდეოლოგიურ - მხატვრული ხაზით. და სახკინმრეწვის ახალი გამგეობა დღეს საქართველოს გასაბჭოების მე-10 წლის თავზე ამ ნაკლის გამოსწორებას მთავარ ყურადღებას აქცევს. თუ იყო რამოდენიმე სურათების ჩავარდნა, სამაგიეროდ 1929-30 წ. სეზონმა მოგვცა ისევ ახალი სურეთები, რომელიც მიღებული არიან როგორც მიღწევანი. ეს არის ახალგაზრდა რეჟისორის მ. კალატოზიშვილის „ჯიმ-შვანთე" (სვანეთის ცხოვრებიდან). ამ სურათმა მიიღო პირველი კატეგორია საკავშირო მასშტაბით. „ამერიკანკა" ახალგაზრდა რეჟისორის ლეო ესაკიასი (სურათმა მიიღო მეორე კატეგორია), „კამერა № 79" რეჟისორ შ. ბერიშვილის, „უგუბზიარა" ახალგაზრდა რეჟისორ დავით რონდელის. „ზვავთა სამეფოში"—ახალგაზრდა რეჟისორ ს. დოლიძის და „ხაბარდა" რეჟისორ მ. ჭიაურელისა. ყველა ამ სურარათების თემატიკა მთლიანად შეეფერება რეკონსტრუქტიულ პერიოდს და როგორც მხატვრულად, ისე იდეოლოგიურად მისაღები არიან.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ერთი მეტად თვალსაჩინო მოვლენა. თუ 1928 წლამდე სახკინმრეწვი სრულიად არავითარ ყურადღებას არ აქცევდა პოლიტგანმანათლებელ და საბავშვო სურათებს, სამაგიეროდ ახალ პერიოდში ჩვენი კინო-მრეწველობამ მოგვცა ისეთი სურათები პიონერების ცხოვრებიდან, როგორც „ახალგაზრდა ენტუზასტები" რეჟისორ ა. თაყაიშვილისა და „თიხიკო ომში" რეჟისორ შ. ბერიშვილისა. პოლიტგანმანათლებელ სურათებში აღნიშნული უნდა იყოს: „მალარია", „საქ. კურორტები", „ხევსურეთი", „ბუბა", „აბრეშუმი" და განსაკუთრებით ზემოდ დასახელებული „ჯიმ-შვანთე", შესანიშნავი სურათი ზემო-ქედის კომუნის ცხოვრებიდან „შირაქი" შ. ხუსკივაძის ნამუშევარი და რეჟ. ნ. გოგობერიძის „10 წელი" საქართველოს გასაბჭოების 10 წლის აღსანიშნავად.

რაც შეეხება ჩვენი კინო-მრეწველობის ზრდას სამეურნეო ხაზით, უნდა მოვიყვანოთ შემდეგი ციფრები: გამოშვებულ სურათების ასლების საერთო მეტრაჟი თუ 1921 წელს უდრიდა 3.855, 1930 წლისათვის აღწევს 1.845.729 მეტრს.

ამასთანავე გამოშვებულ ასლების რაოდენობა 1921 წელს უდრიდა 3, 1930 წელს კი 1196. შემოსავალი (მანეთებში)—1921 წელს—23.705 მან. 70 კაპ. 1930 წ.—900.000 მან. სამაგიეროდ პოზიტივის თვითეული მეტრის თვითღირებულება თუ 1921 წ. უდრიდა 53 კაპ. 1930 წლისათვის დაიკლო 15,2 კაპეიკამდე. ასეთია სამეურნეო მაჩვენებლები.

საკითხი შემოქმედებითი კადრების შესახებ მეტად რთული და სერიოზულია ჩვენს სინამდვილეში. მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი მიღწევები საქართველოს კინო-მრეწველობას ამ დარგში აქვს.

**შ. ალხაზიშვილი.**

# პროლეტარული მწერლობის საკითხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდიდესი მოვლენების ხანაში ვცხოვრობთ. ფართოდ გაიშალა საბჭოთა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, გამწვავებულ კლასიურ ბრძოლის პირობებში საბოლოოდ ისპობა კაპიტალიზმის ნარჩენები. სოფელიც იცვლის სახეს. ხდება კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია კოლექტივიზაციის საფუძველზე. ღარიბესი და საშუალო გლეხობა მასიურად გადადის მეურნეობის კოლექტიურ ფორმაზე. კულტურული რევოლუცია თავისი განვითარების მაღალ საფეხურზე გადავიდა და სხვ.

ამ უდიდეს მოვლენების ტემპს სამწუხაროდ ვერ უსწორდება პროლეტარული მწერლობა. ის ჯერ-ჯერობით ვერ ხატავს მთელი თავისი სისრულით თავისი კლასის წინსვლას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისაკენ.

რეკონსტრუქციის პერიოდში პროლეტარული მწერლობის, როგორც აგიტატორის, პროპაგანდისტის და მუშურ-გლეხურ მასების ორგანიზატორის როლი დიდათ გაიზარდა. მხატვრული ლიტერატურის სპეციფიურობის გამო ცოცხალ პოეტურ სახეებში გადმოცემული იდეა მისაწვდომი და გასაგებია თვით მოუმზადებელი მკითხველისთვისაც კი. მხატვრული მწერლობა უფრო მასიური მოვლენაა, ვინემ შემეცნების სხვა რომელიმე სფერო, რადგანაც აქ წმინდა ლოღიკურ დასაბუთების მაგიერ იდეები სახეებით გვაქვს მოცემული, რასაც გაცილებით ადვილათ ითვისებს მკითხველი.

პროლეტარულ მწერლობის ჩამორჩენა რეკონსტრუქციის ტემპისაგან ყველა სფეროში საგრძნობია, მათ შორის თემატიკაშიაც. მნიშვნელოვანი დისპროპორცია არსებობს პროლეტარულ მწერლობაში თემატიკის მხრივაც. პროლეტარული მწერლობა თემატიურადაც ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რომელსაც მას უყენებენ.

რა არის თემა:—თემის ქვეშ ჩვენ ვგულისხმოთ არა მარტო ასაწერ ობიექტს, არამედ „მწერლის აქტიურ მიდგომას სინამდვილის რომელიმე საგანის გამოსახატავად, როდესაც ამ საგანს ირჩევენ ქვეყნიერების მრავალფეროვანებისაგან, როდესაც ქვეყნიერებას ვღებულობთ განსაზღვრულ საპერსპექტივო პირობებში, რომელიც საზღვრავს მოცემული საგნის ცენტრალურ ადგილს. თემაში პირველად ერთყმიან მწერლის დამოკიდებულება სინამდვილისადმი და ობიექტიური სინამდვილე, და ამიტომ თემა საზღვრავს მწერლობისათვის მხატვრული ნაწარმოების შექმნის შემდგომ პროცესს, ე. ი. სუბიექტის და ობიექტის ერთიან განვითარებას, როგორც დიალექტიურ წინააღმდეგობის“ ლიბედინსკი).

როგორი მდგომარეობა გვაქვს დღეს პროლეტარული მწერლობის თემატიკის სფეროში? რას იღებენ თავისი შემოქმედების თემათ პროლეტარული მწერლები?

უპირველეს ყოვლისა პროლეტარულ მწერლობაში მოსჩანს თემების ერთფეროვნება და განსაზღვრულობა. ჩვენი ცხოვრების მრავალფეროვანება და მრავალსახეობა თემატიურ გამოსახულებას ვერ პოულობს. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს პროლეტარულ მწერლობაში თემატიკის მხრივ ერთგვარი შტამპი შემუშავდა და პროლეტმწერლების უმეტესობა მას მიჰყვება.

რა არის დღეს პროლეტარული მწერლების შემოქმედების თემატიკა?—წარსული—რევოლიუციონური მოძრაობა—1905 წელი (პ. სამსონიძე „პირველი ქარტეხილი“, ნ. ზომლეთელი „უგულო ღამები“, ს. თალაკვაძე—1905 წელი“, პ. საყვარელიძე — „დაფანტული ფურცლები“, კ. კალაძე — „როგორ“ და სხვ.), საყვარეული და მის ფონზე ძველი და ახალი ყოფის დაპირისპირება (კ. ლორთქიფანიძე „პირველი დედა“, ე. პოლუმორდვინოვი „შამშილარ“ და სხ.), რევოლიუციის ზედმეტი ადამიანები (ა. მაშაშვილი „აი, ადამიანი“, კ. ლორთქიფანიძე „ხავსი“, „ფოტოგრაფი“ და სხვ.), კოლექტიური მეურნეობა (კ. ლორთქიფანიძე „ახალი გლეხები“, ფრ. ნაროუშვილის ლექსები და პოემები, მიხ. ჩიქოვანი „ანეული“ და სხ.), დამკვრელობა და სოცშეჯიბრი (ა. მაშაშვილის, ირ. აბაშიძის და სხვ. ლექსები)—აი, ის უმთავრესი თემები, რომელთა შესახებაც სწერენ პროლეტარული მწერლები. აღნიშნულ თემებიდან ყველაზე მეტად „პატივისცემაშია“ 1905 წელი და სოფლის და კოლმეურნეობის თემები. საწარმოო ხასიათის თემატიკას იშვიათად შეხვდებით პროლეტმწერლების შემოქმედებაში. უკანასკნელ ხანებში მხოლოდ ერთი საწარმოო ხასიათის რომანი დაიწერა. ეს არის პ. ჩხიკვაძის „სართულები“.

როგორც ვხედავთ თემატიკის მხრივ მაინც და მაინც სანუგეშო მდგომარეობა არ გვაქვს პროლეტარულ მწერლობაში. აქ პროლეტარული მწერლობა მეტის-მეტად ვიწრო ფარგლებშია მოქცეული (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის თემებიც, რომლებიც ზევით აღვნიშნოთ და რომელთაც პროლეტარული მწერლები ეხებიან თავიანთ შემოქმედებაში ყოველთვის სრულყოფილ მხატვრულ ფორმებში არ არის მოცემული. აღნიშნულ თემების მნიშვნელოვანი ნაწილი ამა თუ იმ მწერლის მიერ ვერ არის სათანადოთ დამორჩილებული და დამუშავებული).

კონკრეტულად დღეს რა თემებია ისეთი, რომელთა შესახებაც აუცილებლად უნდა სწერდენ პროლეტარული მწერლები?

ლენინის სახელობის ფაბრიკის მუშები (მოსკოვი) თავის მიმართვაში პროლეტარული მწერლობის მიმართ სხვათა შორის მიუთითებდენ იმ თემებზედაც, რომელთა შესახებაც წერას ისინი საჭიროდ სთვლიდენ: „ეხლა ჩვენ გვაქვს საწერი: მუშა ეხლა სხვა არის. მისი ცხოვრება, ყოფა, მისი როლი და მნიშვნელობა სოციალისტურ აღმშენებლობაში, ფაბრიკასა და ქარხანაში, სოციალისტური შრომის მეთოდი, დამკვრელობა და სოცშეჯიბრი, ენტუზიაზმი და უდიდესი აღფრთოვანება სოციალიზმისათვის ბრძოლაში—აი თემები პროლეტარული მწერლობისათვის, რომელთა შესახებაც პროლეტარულმა მწერლებმა უნდა სწერონ. რასაკვირველია, აქ აკლია ბევრი თემაც. არ არის აღნიშნული მაგ. შემხვედრი პრომფინგეგმა, სოფლის ძირეული გარდაქმნა, კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია კოლექტივიზაციის საფუძველზე, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის საკითხები და სხვ.

დღეს ჩვენს პროლეტარულ მწერლობას არ აქვს ისეთი ნაწარმოები, რომლებიც ღრმათ და მხატვრულად იყოს მოცემული, ის გარდატეხა, რომელსაც ადგილი აქვს სოფლად გლეხობაში, რომლის ღარიბესი და საშუალო ნაწილი სოციალიზმის აქტიური მშენებელი ხდება.

საერთაშორისო ხასიათის თემებიც ხომ უყურადღებოთაა მიტოვებული. ერთი საყურადღებო ნაწარმოებიც კი არ დაწერილა ჩვენში, ამ თემაზე.

არც სხვა თემებია უკეთეს მდგომარეობაში. არც ერთ ნაწარმოებში არ სჩანს ბოლშევიკური თვითკრიტიკა.

ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ერების თანამედროვე დამოკიდებულების საკითხებიც უყურადღებოთ არის მიტოვებული.

პროლეტარულ მწერლების შემოქმედებაში თითქმის ვერ შეხვდებით თემატიურად ისეთ ნაწარმოებს, რომელიც ეხებოდეს ომის პრობლემას და საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას.

კიდევ მრავლად შეიძლებოდა ჩამოთვლა ისეთი თემების, რომელთა შესახებაც აუცილებელია წერა დღეს.

როგორც ვხედავთ პროლეტარული მწერლობა თემატიურად ძლიერ რჩება უკან რეკონსტრუქციის პერიოდს.

თემის საკითხი ერთ-ერთი ძირითადი პრობლემათაგანია დღეს პროლეტარული მწერლობისათვის. პრობლემა თემის შერჩევის, პრობლემა ყოველდღიურობისა ეხლა არსებითი საკითხია.

პროლეტარული მწერლობა ვერ დაიპყრობს მარქსიზმ-ლენინიზმის მსოფლმხედველობას ისე, თუ არ მიაპყრო თავისი ყურადღება ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობას.

პროლეტარულმა მწერლობამ თავისი შემოქმედებითი მეთოდის გამოსამუშავებლად უმთავრესად თანამედროვე მასალა უნდა გამოიყენოს.

ახალი მკითხველი დღეს მხატვრული მწერლობისაგან მოითხოვს სწრაფ პასუხს თანამედროვეობის ყველა კითხვებზე, რაც მას აღელვებს, რაც მას აინტერესებს. მუშურ-გლეხურ მკითხველს სურს, რომ მწერლობა გახდეს აქტიური, მომქმედი ძალა ჩვენი ცხოვრების სოციალისტურ გარდაქმნის საქმეში.

პროლეტარულმა მწერლობამ დიალექტიურ მატერიალიზმის მეთოდით შეიარაღებულმა მხატვრულად უნდა მოგვცეს ჩვენი სინამდვილე მთელი თავისი სისრულით, მასში არსებული წინააღმდეგობებით.

პროლეტარიატს აქვს უფლება მოითხოვოს თავისი მწერლობისაგან, რათა მან მხატვრულად ასახოს ჩვენი დღევანდელი ბრძოლა და მოუწოდოს მასებს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისაკენ.

ლენინი სწერდა: „ცოტაა თავის თავს უწოდოთ ავანგარდი, მოწინავე რაზმი, — საჭიროა ისეთი მოქმედება, რომ ყველა დანარჩენი ხედავდეს, რომ ჩვენ მივდივართ წინ“. პროლეტარული მწერლობაც სწორედ ასვე უნდა მოქმედებდეს. საჭიროა, რომ ყველა ხედავდეს, რომ პროლეტარული მწერლობა მიდის წინ.

**შალვა რადიანი.**

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68. მთავ. № 83. შეკვ. № 19. ტირ. 6.500